



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS  
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2013. წინამდებარე თარგმანი შესრულებულია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდის ხელშეწყობით ([www.coe.int/humanrightstrustfund](http://www.coe.int/humanrightstrustfund)). სასამართლოსათვის იგი სავალდებულო ხასიათს არ ატარებს. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ სავტორო უფლებების სრული მიმოხილვა მოცემული დოკუმენტის ბოლოს.

© Council of Europe/European Court of Human Rights, 2013. This translation was commissioned with the support of the Human Rights Trust Fund of the Council of Europe ([www.coe.int/humanrightstrustfund](http://www.coe.int/humanrightstrustfund)). It does not bind the Court. For further information see the full copyright indication at the end of this document.

© Conseil de l'Europe/Cour Européenne des Droits de l'Homme, 2013. La présente traduction a été effectuée avec le soutien du Fonds fiduciaire pour les droits de l'homme du Conseil de l'Europe ([www.coe.int/humanrightstrustfund](http://www.coe.int/humanrightstrustfund)). Elle ne lie pas la Cour. Pour plus de renseignements veuillez lire l'indication de copyright/droits d'auteur à la fin du présent document.

დიდი პალატა

საქმე “კონსტანტინ მარკინი რუსეთის წინააღმდეგ” (KONSTANTIN  
MARKIN v. RUSSIA)

(განაცხადი # 30078/06)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

22 მარტი, 2012

**საქმეში კონსტანტინე მარკინი რუსეთის წინააღმდეგ,**

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, დიდი პალატის შემდეგი შემადგენლობით:

ნიკოლას ბრატზა, *პრეზიდენტი*,  
ჟან-პოლ კოსტა,  
ფრანსუაზ ტულკენსი,  
ჟოზეფ კასადევალი,  
ჟან სიკუტა,  
დრაგოლიუბ პოპოვიჩი,  
პაივი ჰირველა,  
ნონა წოწორია,  
ან პოვერფორტე,  
სდრაჟკა კალაიდჯიევა,  
ისილ კარაკასი,  
მიჰაი პოალელუნგი,  
კრისტინა პარდალოსი,  
გუიდო რაიმონდი,  
ანგელიკა ნუსბერგერი,  
პაულო პინტო დე ალბუკერკე, *მოსამართლეები*,  
ოლგა ფედოროვა, *ad hoc მოსამართლე*,  
და ჯოან კალევერტი, *დიდი პალატის მდივნის მოადგილე*.

2011 წლის 8 ივნისს და 2012 წლის 1 თებერვალს დახურული თათბირის შედეგად,

მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება ბოლოს მითითებულ დღეს:

**პროცედურა**

1. საქმის დაწყების საფუძველს წარმოადგენს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის 34-ე მუხლზე დაყრდნობით რუსეთის მოქალაქე, ბატონი კონსტანტინე ალექსანდროვიჩ მარკინის („განმცხადებელი“) მიერ 2006 წლის 21 მაისს რუსეთს ფედერაციის წინააღმდეგ წარდგენილი განაცხადი (#. 30078/06).

2. განმცხადებელი, რომელსაც გაეწია იურდიული დახმარება, წარმოდგენილი იქნა ქალბატონი კ. მოსკალენკოს და ქალბატონი ი. გერასიმოვას მიერ, რომლებიც არიან მოსკოვში მოღვაწე ადვოკატები და ქალბატონი ნ.ლისმანის მიერ, რომელიც მოღვაწეობს ბოსტონში, ამერიკის შეერთებულ შტატებში. რუსეთი (“მოპასუხე სახელმწიფო”) წარმოდგენილი იყო ბატონი გ.

მატიუშკინის მიერ, რომელიც არის რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში და ადვოკატის, ქალბატონი ო. სიროტკინას მიერ.

3. განმცხადებელი ამტკიცებს, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებმა მას არ მისცეს ბავშვის მოვლისთვის შვებულების მიღების უფლება მისი მამრობითი სქესის გამო.

4. განაცხადი გადაეცა სასამართლოს პირველ სექციას (სასამართლოს რეგლამენტის 52-ე მუხლის პირველი პუნქტი). 2010 წლის 7 ოქტომბერს, მითითებული სექციის პალატამ შემდეგი შემადგენლობით: ქრისტოს როზაკისი, ნინა ვაჟიცი, ანატოლი კოვლერი, ელიზაბეთ სტეინერი, ხანლარ ჰაჯიევი, დინ სპილმანი, სვერე ერიკ ებენსი - მოსამართლეები და სორენ ნილსენი, სექციის მდივანი, განიხილა საქმის დასაშვებობა და არსებითი მხარე (კონვენციის ყოფილი 29-ე მუხლის მე-3 პუნქტი, ამჟამად, 29 -ე მუხლის პირველი პუნქტი). სასამართლომ განაცხადი ნაწილობრივ დასაშვებად ცნო და ექვსი ხმით ერთის წინააღმდეგ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევას მე-8 მუხლთან მიმართებით.

5. 2011 წლის 21 თებერვალს დიდი პალატის პანელმა ხუთ მოსამართლის შემადგენლობით გადაწყვიტა დაეკმაყოფილებინა მთავრობის მოთხოვნა საქმის დიდი პალატისთვის გადაცემასთან დაკავშირებით (კონვენციის 43-ე მუხლი და სასამართლოს რეგლამენტის 73-ე მუხლი).

6. დიდი პალატის შემადგენლობა განისაზღვრა კონვენციის 26-ე მუხლის მე-4 და მე-5 მუხლებისა და სასამართლო რეგლამენტის 24-ე მუხლის შესაბამისად.

7. განმცხადებელმა და მოპასუხე სახელმწიფომ წარმოადგინეს თავიანთი მოსაზრებები (რეგლამენტის 59-ე მუხლის პირველი მუხლი) საქმის არსებით მხარესთან დაკავშირებით. გარდა ამისა, გენტის უნივერსიტეტის ადამიანის უფლებათა ცენტრმა წარმოადგინა მესამე მხარის მოსაზრებები (კონვენციის 36-ე მუხლის პირველი პუნქტი და რეგლამენტის 44-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი).

8. საჯარო განხილვა ჩატარდა ადამიანის უფლებების შენობაში, სტრასბურგში 2011 წლის 8 ივნისს (რეგლამენტის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტი). სასამართლოს წინაშე გამოცხადნენ:

ა. მოპასუხე სახელმწიფოს სახელით:

**ბატონი გ. მათიუშკინი**, რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, *წარმომადგენელი*,

**ქალბატონიო.სიროტკინა**,*იურისტი*,

**ქალბატონი ი. კორიევა**,

**ბატონი ა.შემეტი**,*მრჩევლები*;

ბ. *განმცხადებლის* სახელით:

**ქალბატონი კ. მოსკალენკო**,

**ქალბატონი ნ. ლისმანი**,

**ქალბატონი ი.გერასიმოვა**,*ადვოკატი*.

სასამართლომ მოისმინა ქალბატონი სიროტკინას, ქალბატონი მოსკალენკოს, ქალბატონი გერასიმოვას და ქალბატონი ლისმანის გამოსვლები.

ფაქტები

I. საქმის გარემოებები

9. განმცხადებელი დაიბადა 1976 წელს და ცხოვრობს ველიკი ნოვგოროდში.

10. 2004 წლის 17 მარტს მან ხელი მოაწერა სამხედრო სამსახურის ხელშეკრულებას. განმცხადებლის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულება წარმოადგენდა სტანდარტულ ორგვერდიან ფორმას, რომელიც, სხვათაშორის, აცხადებდა, რომ ის “იღებდა ვალდებულებას ემსახურა კანონით განსაზღვრული წესების შესაბამისად.”

11. განსახილველი ფაქტების განვითარების დროისთვის განმცხადებელი მუშაობდა რადიო ელექტრონული დაზვერვის ოპერატორად (оперативный дежурный группы боевого управления в составе оперативной группы радиоэлектронной разведки) # 41480 სამხედრო ნაწილში. იგივე თანამდებობებზე მის ნაწილში მუშაობდნენ ქალი სამხედრო მოსამსახურეები და ხშირად განმცხადებელს მდებდრობითი სქესის თანამშრომლებით ანაცვლებდნენ.

a. ბავშვის მოვლის შვებულებასთან დაკავშირებული საქმისწარმოება.

12. 2005 წლის 30 სექტემბერს განმცხადებლის ცოლმა ქალბატონმა ზ-მ გააჩინა მათი მესამე შვილი. იმავე დღეს სასამართლომ მიიღო ზ-ს სარჩელი განქორწინებაზე.

13. 2005 წლის 6 ოქტომბერს განმცხადებელმა და ქალბატონმა ზ-მ მიაღწიეს შეთანხმებას, რომლის თანახმადაც მათ სამ შვილს უნდა ეცხოვრა განმცხადებელთან; ქალბატონი ზ კი გადაიხდიდა ალიმენტს. შეთანხმება დაამოწმა ნოტარიუსმა.

14. განმცხადებლის თანახმად რამდენიმე დღის შემდეგ ქალბატონი ზ გაემგზავრდა სანკტ-პეტერპურგში.

15. 2005 წლის 11 ოქტომბერს განმცხადებელმა მიმართა მისი სამხედრო ნაწილის მეთაურს სამი წლით ბავშვის მოვლის შვებულების მიცემის თხოვნით. 2005 წლის 12 ოქტომბერს სამხედრო ნაწილის მეთაურმა არ დააკმაყოფილა მისი მოთხოვნა იმ მიზეზით, რომ სამი წლით ბავშვის მოვლის შვებულების აღება მდებდრობით სამხედრო პერსონალს შეეძლო. განმცხადებელს სამთვიანი შვებულება მისცეს. თუმცადა, 2005 წლის 23 ნოემბერს ის ხელახლა გამოიძახეს სამსახურში.

16. განმცხადებელმა 2005 წლის 23 ნოემბრის გადაწყვეტილება გაასაჩივრა სასამართლოში. პუშკინის გარნიზონის სამხედრო სასამართლომ 2006 წლის 9 მარტს გააუქმა სადავო გადაწყვეტილება და დაიცვა განმცხადებლის უფლება მისი სამთვიანი შვებულების დარჩენილი, 39 სამუშაო დღით სარგებლობაზე. 2006 წლის 17 აპრილს ლენინგრადსკის სამხედრო ოლქის სამხედრო სასამართლომ გააუქმა ეს გადაწყვეტილება და არ დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნები.

17. პარალელურად, 2005 წლის 30 ნოემბერს განმცხადებელმა დაიწყო პროცესი მისი სამხედრო ნაწილის წინააღმდეგ ბავშვის მოვლის სამწლიანი შვებულების მოთხოვნით. ის ამტკიცებდა, რომ თავისი სამი შვილისთვის ერთადერთი მზრუნველი იყო და ეყრდნობოდა კონკრეტულად სამხედრო სამსახურის შესახებ კანონის მე-10 მუხლის მე-9 პუნქტს (იხილეთ §47 ქვემოთ).

18. პუშკინის გარნიზონის სამხედრო სასამართლოში საქმის განხილვის დროს სამხედრო ნაწილის წარმომადგენლები მიუთითებდნენ, რომ განმცხადებელმა ვერ დაამტკიცა, რომ ის წარმომადგენდა ერთადერთ მზრუნველს თავისი შვილებისთვის. შეუძლებელი იყო განმცხადებელს, რომელიც მსახურობდა ჯარში, სწავლობდა უნივერსტეტში და მონაწილეობდა რამდენიმე

სასამართლო პროცესში, მარტო მოველო თავისი შვილებისთვის. არსებობდა მტკიცებულებები, რომ ქალბატონი ზ. და სხვა ადამიანები მას ეხმარებოდნენ. შესაბამისად, ბავშვები არ იყვნენ მოკლებულნი დედის მზრუნველობას. სამხედრო ნაწილის წარმომადგენლებმა ასევე სასამართლოს ყურადღება გაამახვილეს განმცხადებლის მიერ მიწოდებულ ინფორმაციასა და დოკუმენტებში არსებულ წინააღმდეგობებზე. მაგალითად ნოტარიუსის მიერ დამტკიცებულ შეთანხმებაში მითითებული ბავშვების მისამართი არ იყო სწორი; ქალბატონი ზ.-ს შრომის კონტრაქტი არ იყო რეგისტრირებული კანონის შესაბამისად; განქორწინების ბეჭედი არ იყო წარმოდგენილი ქალბატონი ზ.-ს პასპორტში და განმცხადებელს არ მოუთხოვია ბავშვების ალიმენტი და არ უჩივლია ქალბატონი ზ.-სთვის ალიმენტის გადაუხდელობის გამო. მათი აზრით, განმცხადებლის განქორწინება წარმოადგენდა თვალთმაქცობას, რომელიც მიზნად ისახავდა სამხედრო სამსახურისთვის თავის არიდებას და დამატებითი სარგებლის მიღებას მისი სამხედრო ნაწილიდან.

19. სასამართლომ შეამოწმა ქალბატონი ზ.-ს სარჩელი განქორწინებაზე, რომელშიც ის აცხადებდა, რომ ის განმცხადებელთან ერთად აღარ ცხოვრობდა 2005 წლის სექტემბრიდან და მათ შორის საქორწინო ურთიერთობის გაგრძელებას შეუძლებლად მიიჩნევდა. შემოწმებული იქნა აგრეთვე სასამართლო გადაწყვეტილება, რომლითაც დამოწმდა განქორწინება, ნოტარიუსის მიერ დამტკიცებული შეთანხმება, რომლის მიხედვითაც ბავშვებს განმცხადებელთან უნდა ეცხოვრათ და ქალბატონი ზ.-ს შრომის კონტრაქტი, რომელიც სანკტ-პეტერბურგში დაიდო. სასამართლომ შეისწავლა აგრეთვე სრულიად დაუკავშირებელი სამოქალაქო საქმის სასამართლო განხილვის სხდომის ოქმი, რომელიც დათარიღებულია 2006 წლის 27 თებერვლით და საიდანაც აშკარაა, რომ განმცხადებელს წარმოადგენდა ქალბატონი ზ.

20. განმცხადებელმა განაცხადა, რომ ის და მისი შვილები ცხოვრობდნენ ნოვგოროდში ქალბატონი ზ.-ს მშობლებთან ერთად, თუმცა ქალბატონი ზ. შიგადაშიგ ეხმარებოდა მას ბავშვების მოვლაში (მაგალითად, ის დარჩა ყველაზე უმცროს შვილთან 2006 წლის 31 იანვარს, როდესაც განმცხადებელი სასამართლო სხდომაზე იყო). ბავშვებზე ყოველდღიურად ზრუნავდა თვითონ განმცხადებელი. ქალბატონი ზ. ვერ უხდიდა ბავშვებს ალიმენტს,

რადგან ძალიან დაბალი შემოსავალი ქონდა. ქალბატონი ზ. მართლაც გამოდიოდა მის წარმომადგენლად 2006 წლის 27 თებერვალს ჩატარებულ სასამართლო განხილვაზე, რადგან საქმე ეხებოდა წყვილის მიერ განქორწინებამდე ერთობლივად აღძრულ სარჩელს. ქალბატონი ზ. დასთანხმდა დახმარებოდა მას სასამართლო პროცესის დასრულებამდე.

21. ქალბატონის ზ-ს ჩვენების თანახმად, ის ცხოვრობდა სანკტ-პეტერბურგში, მაშინ როდესაც მისი შვილები ცხოვრობდნენ განმცხადებელთან ერთად ნოვგოროდში. ის არ მონაწილეობდა ბავშვებზე ზრუნვაში. ის არ იხდიდა ალიმენტს, რადგან მისი ხელფასი იყო მინიმალური.

22. ქალბატონი ზ-ს მამამ განაცხადა, რომ განქორწინების შემდეგ მისი ქალიშვილი გაემგზავრა პეტერბურგში, განმცხადებელი და მისი შვილები კი დარჩნენ მასთან და მის ცოლთან ერთად ამ უკანასკნელების კუთვნილ ბინაში. მისი ქალიშვილი თუმცაღა შიგადაშიგ ესაუბრებოდა ბავშვებს ტელეფონით, ის არ მონაწილეობდა მათ აღზრდაში. განმცხადებელი იყო ბავშვების ერთადერთი ამღზრდელი. მას მიყავდა ისინი სკოლაში და ექიმთან, უმზადებდა საჭმელს, ასეირნებდა, და მეთვალყურეობდა მათ განათლებას.

23. ქალბატონი ზ-ს დამსაქმებელმა თავის ჩვენებაში განაცხადა, რომ ქალბატონი ზ. მასთან მუშაობდა სანკტ-პეტერბურგში. მან იცოდა რომ შრომის კონტრაქტი რეგისტრირებული უნდა ყოფილიყო. მან სცადა დაერეგისტრირებინა ქალბატონი ზ-ს შრომის კონტრაქტი საგადასახადო ორგანოში, თუმცა საგადასახადო ორგანომ უარი განაცხადა კონტრაქტის რეგისტრაციაზე და აცნობა მას, რომ კონტრაქტის რეგისტრაცია ქალაქის ადმინისტრაციაში უნდა მომხდარიყო. ქალაქის ადმინისტრაციამ კი მას უთხრა, რომ შრომის კონტრაქტის რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი ორგანო საგადასახადო იყო. იმის გამო, რომ ჩაკეტილ წრეში აღმოჩნდა, მან თავი გაანება კონტრაქტის რეგისტრაციის უნაყოფო მცდელობას. ქალბატონი ზ. სამსახურში დაბრუნდა ბავშვის გაჩენიდან ორ კვირაში. მან იცოდა, რომ ქალბატონი ზ-ს შვილები ცხოვრობდნენ ნოვგოროდში მამასთან ერთად, თუმცაღა მან არ იცოდა ქალბატონი ზ-ს ურთიერთობის დეტალები მის ყოფილ ქმართან ან შვილებთან. რამდენჯერმე, მან გაიგო როგორ ესაუბრებოდა ქალბატონი ზ. თავის უფროს შვილს ტელეფონზე.

24. განმცხადებლის შუათანა შვილის მასწავლებელმა განაცხადა, რომ 2005 წლის სექტემბერში განმცხადებელს და ქალბატონ ზ-ს ერთად დაყავდათ ბავშვი სკოლაში. თუმცა მესამე შვილის გაჩენისა და განქორწინების შემდეგ, მხოლოდ განმცხადებელს მიყავდა ბავშვი დილაობით სკოლაში და აკითხავდა მას საღამოს. სკოლის შეხვედრებზეც მხოლოდ განმცხადებელი დადიოდა. დედასთან დაკავშირებული შეკითხვების პასუხად ბავშვი ამბობდა, რომ დედა გაემგზავრა სანკტ-პეტერბურგში სამუშაოდ. მისი აზრით, განმცხადებელი კარგი მამა იყო და ბავშვს ის აშკარად უყვარდა. ამასთან, ბავშვი არასდროს საუბრობდა დედამისის შესახებ.

25. ბავშვების ექიმმა ჩვენებაში აღნიშნა, რომ 2005 წლის 6 ოქტომბერს ქალბატონმა ზ-მ მიიყვანა უმცროსი შვილი გასასინჯად, 2005 წლის პირველი ნოემბრიდან კი, ექიმთან ბავშვები დაყავდა მხოლოდ განმცხადებელს. ბავშვები ჯანმრთელები და კარგად მოვლილები იყვნენ.

26. 2006 წლის 14 მარტს პუშკინის გარნიზონის სამხედრო სასამართლომ უარყო განმცხადებლის მოთხოვნა სამი წლით ბავშვის მოვლის შვებულების აღებაზე იმ მიზეზით, რომ ამგვარ მოთხოვნას შიდა სამართალში არანაირი საფუძველი არ ქონდა. სასამართლომ დაადგინა, რომ მხოლოდ მდედრობითი სქესის სამხედრო მოსამსახურეებს ეკუთვნოდათ ბავშვის მოვლის სამწლიანი შვებულება. მამაკაც სამხედრო მოსამსახურეებს კი, ამგვარი უფლება არ ქონდათ იმ შემთხვევაშიც, როდესაც ბავშვები დედის მზრუნველობის გარეშე დარჩებოდნენ. ამგვარ შემთხვევაში, მამაკაც სამხედრო მოსამსახურეებს შეეძლოთ ოჯახური მდგომარეობის გამო შეეწყვიტათ სამსახური ან მიეღოთ სამთვიანი შვებულება. განმცხადებელმა გამოიყენა მეორე შესაძლებლობა.

27. იმავე სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ განმცხადებელმა ვერ შეძლო დაემტკიცებინა, რომ თავისი შვილებისთვის ერთადერთ აღმზრდელს წარმოადგენდა და რომ ისინი მოკლებულნი იყვნენ დედის მზრუნველობას. სასამართლო განხილვაზე შემოწმებული მტკიცებულებებიდან გამომდინარეობდა, რომ განქორწინების შემდეგად განმცხადებელი და ქალბატონი ზ. აგრძელებდნენ თავიანთ ცოლ-ქმრულ ურთიერთობას. ისინი ერთად ცხოვრობდნენ, ერთად ზრუნავდნენ თავიანთ შვილებზე, და იცავდნენ მათი ოჯახის ინტერესებს. შესაბამისად, განმცხადებლის მიერ საწინააღმდეგოს მტკიცება



იყო ყალბი და მიზნად ისახავდა სასამართლოს შეცდომაში შეყვანას. გადამწყვეტი იყო ის, რომ ქალბატონ ზ-ს არ ქონდა ჩამორთმეული მშობლის უფლება. ის არანაირად არ იყო მოკლებული თავის შვილებზე ზრუნვის შესაძლებლობას და შესაბამისად არარელევანტური იყო ის საკითხი, ბავშვები მასთან ერთად ცხოვრობდნენ თუ განცალკევებით.

28. განმცხადებელმა გაასაჩივრა ეს გადაწყვეტილება, ამტკიცებდა რა, რომ მისთვის ბავშვების მოსავლელად სამწლიანი შვებულების მიცემაზე უარის თქმა წარმოადგენდა ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობის პრინციპის დარღვევას, რაც გარანტირებული იყო კონსტიტუციით. ის აგრეთვე ამტკიცებდა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გაკეთებული ფაქტობრივი დასკვნები წინააღმდეგობაში მოდიოდა სასამართლო განხილვაზე შესწავლილ მტკიცებულებებთან.

29. 2006 წლის 27 აპრილს ლენინგრადსკის სამხედრო ოლქის სამხედრო სასამართლომ ძალაში დატოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება. მას არ შეუმოწმებია განმცხადებლის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც პირველი ინსტანციის სასამართლოს ფაქტობრივი დასკვნები არასწორი იყო. ამის ნაცვლად მან დაადგინა, რომ შიდა სამართლის მიხედვით “მამრობითი სქესის სამხედრო მოსამსახურეებს არცერთ შემთვევაში არ აქვთ ბავშვის მოვლის შვებულების მიღების უფლება.” დამატებით აღნიშნული იქნა, რომ განმცხადებლის “მოსაზრებები ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ ვერ გამოდგებოდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაუქმებლად, რომელიც არსებითად სწორი იყო.”

30. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო პროცესი მიმდინარეობდა, განმცხადებელს რამდენჯერმე დააკისრეს დისციპლინური სახდელი სამუშაოს სისტემატური გაცდენის გამო.

31. სამხედრო ნაწილის მეთაურის 2006 წლის 24 ოქტომბრის # 41480 ბრძანების თანახმად განმცხადებელს 2008 წლის 30 სექტემბრამდე მისცეს ბავშვის მოვლის შვებულება. 2008 წლის 30 სექტემბერს უმცროსი შვილი სამი წლის უნდა გამხდარიყო. 2006 წლის 25 ოქტომბერს განმცხადებელმა მიიღო 200.000 რუსული რუბლის ოდენობის ფინანსური დახმარება, რაც დაახლოებით 5900 ევროს წარმოადგენს. 2006 წლის 9 ნოემბრის #41480 წერილში სამხედრო ნაწილის მეთაური აუწყებს განმცხადებელს, რომ

ფინანსური დახმარება გაცემული იქნა “მისი მძიმე ოჯახური მდგომარეობის, სამი მცირეწლოვანი ბავშვის აღზრდის საჭიროების და შემოსავლის სხვა წყაროს არარსებობის” გამო.

32. 2006 წლის 8 დეკემბერს პუშკინის გარნიზონის სამხედრო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, სადაც #41480 სამხედრო ნაწილის მეთაური გაკრიტიკებული იქნა განცმხადებლისთვის სამი წლის ბავშვის მოვლის შვებულების მიცემის გამო, რადგან ეს ეწინააღმდეგებოდა 2006 წლის 27 აპრილის სასამართლო გადაწყვეტილებას, სადაც დადგინდა, რომ განმცხადებელს ამგავრი შვებულების მიღების უფლება არ ქონდა. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა სამხედრო ნაწილის მეთაურის ბრძანების უკანონობაზე.

### ბ. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება

33. 2008 წლის 11 აგვისტოს განმცხადებელმა მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს, სადაც ამტკიცებდა, რომ სამხედრო სამსახურის შესახებ კანონის ნორმა ბავშვის მოვლის სამწლიან შვებულებასთან დაკავშირებით შეუთავსებელი იყო თანასწორობის ნორმასთან კონსტიტუციაში.

34. 2009 წლის 15 იანვარს საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა განმცხადებლის სარჩელი. გადაწყვეტილების შესაბამის ნაწილში ნათქვამია:

“2.1 ...სამხედრო სამსახური განსაკუთრებული სახის საჯარო სამსახურია, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის თავდაცვას და სახელმწიფო უშიშროებას: შესაბამისად ის ემსახურება საჯარო ინტერესს. ადამიანები, რომლებიც სამხედრო სამსახურში მოღვაწეობენ, ასრულებენ კონსტიტუციურად მნიშვნელოვან ფუნქციებს და შესაბამისად გააჩნიათ განსაკუთრებული სამართლებრივი სტატუსი, რომელიც ეფუძნება რუსეთის ფედერაციის მოქალაქის მოთხოვნილებას შეასრულოს თავისი მოვალეობა და ფუნქცია თავისი სამშობლოს დასაცავად.

როდესაც სამხედრო შემადგენლობის განსაკუთრებულ სამართლებრივ სტატუსს განსაზღვრავს ფედერალური კანონმდებელი, ის უფლებამოსილია თავისი დისკრეციის ფარგლებში დაადგინოს შეზღუდვები მათ სამოქალაქო უფლებებსა და თავისუფლებებზე და დააკისროს მათ განსაკუთრებული ვალდებულებები...

...სამხედრო სამსახურის ხელშეკრულებაზე ხელისმოწერით მოქალაქე...ნებაყოფლობით ირჩევს პროფესიულ

საქმიანობას, რომელიც გულისხმობს პირველ რიგში სამოქალაქო უფლებების და თავისუფლებების შეზღუდვას, რაც თავისთავად გამომდინარეობს ამ ტიპის საჯარო სამსახურიდან და მეორე ქვეყნის თავდაცვისა და სახელმწიფო უშიშროების უზრუნველმყოფი მოვალეობების შესრულებას. შესაბამისად, სამხედრო მოსამსახურეები იღებენ ვალდებულებას, რომ შეასრულებენ საკანონმდებლო მოთხოვნებს, რომლებიც ზღუდავს მათ უფლებებსა და მოვალეობებს და მათ განსაკუთრებულ საჯარო ფუნქციებს აკისრებს.

... ამ ტიპის სამსახურის ნებაყოფლობით არჩევისას მოქალაქე თანხმდება იმ პირობებსა და შეზღუდვებზე, რაც უკავშირდება შეძენილ სამართლებრივ სტატუსს. შესაბამისად, ფედერალური კანონმდებლის მიერ ამ მოქალაქეების უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვა არ არის თავისთავად შეუთავსებელი [კონსტიტუციასთან] და შეესაბამება საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის 1958 წლის 25 ივნისის (დასაქმებასა და პროფესიაში) დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ #111 კონვენციას. ეს უკანასკნელი ადგენს, რომ ნებისმიერი განსხვავების დადგენა, უფლების ჩამორთმევა ან უპირატესობის მინიჭება კონკრეტულ სამსახურთან დაკავშირებით, რომელიც გამომდინარეობს სამსახურში ნაგულისხმევი მოთხოვნებიდან არ უნდა ჩაითვალოს დისკრიმინაციად (მუხლი 1, პუნქტი 2).

2.2 [სამხედრო სამსახურის შესახებ კანონის] მე-11 მუხლის მე-13 პუნქტის თანახმად ბავშვის მოვლის შვებულება ეძლევათ ქალ სამხედრო მოსამსახურეებს რუსეთის ფედერაციის ფედერალური კანონმდებლობის და რეგულაციების თანახმად დადგენილი წესების შესაბამისად. იგივე დებულება გვხვდება სამხედრო სამსახურის შესახებ რეგულაციის 32-ე მუხლის მე-5 პუნქტში, რომელიც აგრეთვე ადგენს, რომ ბავშვის მოვლის შვებულების განმავლობაში ქალი მოსამსახურე ინარჩუნებს თავის თანამდებობას და სამხედრო წოდებას.

კონტრაქტის საფუძველზე აყვანილი მამაკაცი სამხედრო მოსამსახურე სარგებლობს უფლებით მიიღოს სამთვიანი შვებულება, თუ მისი ცოლი გარდაიცვლება მშობიარობის დროს ან თუ ის ზრდის 14 წლამდე ასაკის ბავშვს ან ბავშვებს (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს 16 წლამდე), რომლებიც დარჩნენ დედის მზრუნველობის გარეშე (დედის გარდაიცვლების, მისთვის მშობლის უფლების ჩამორთმევის, მისი მძიმე ქრონიკული დაავადების ან სხვა მსგავსი სიტუაციის არსებობისას, რის შედეგადაც ბავშვები ვერ იღებენ მშობლის მზრუნველობას). ამგავრი შვებულების მიზანი სამხედრო

მოსამსახურისთვის გონივრული შესაძლებლობის მიცემაა, რათა მან მოაგვაროს ბავშვებზე ზრუნვის საკითხი და შედეგის მიხედვით გადაწყვიტოს სურს თუ არა სამხედრო სამსახურში დარჩენა. თუ მოსამსახურე გადაწყვეტს, რომ თვითონ იზრუნოს თავის შვილზე, მას აქვს უფლება ვადაზე ადრე შეწყვიტოს სამსახური ოჯახური მდგომარეობის გამო.

მოქმედი კანონი მამაკაც სამხედრო მოსამსახურეს არ აძლევს სამი წლით ბავშვის მოვლის შვებულების აღების უფლებას. შესაბამისად, საკონტრაქტო მოსამსახურეებს ეკრძალებათ სამხედრო სამსახურის შეთავსება ბავშვის მოვლის შვებულებასთან. ეს აკრძალვა პირველ რიგში ეფუძნება არმიის განსაკუთრებულ სამართლებრივ სტატუსს, და მეორე კონსტიტუციურად მნიშვნელოვან მიზნებს, რომლებიც ამართლებენ ადამიანის უფლებების და თავისუფლებების შეზღუდვას, იმ საჭიროებით, რომ შეიქმნას სათანადო პირობები მოსამსახურეთა ეფექტიანი პროფესიული საქმიანობისთვის, რომლებიც ასრულებენ სამშობლოს დაცვის ფუნქციას.

სამხედრო სამსახურის განსაკუთრებული მოთხოვნებიდან გამომდინარე სამხედრო შემადგელობის მიერ სამხედრო მოვალეობების მასიურად შეუსრულებლობა უნდა გამოირიცხოს, რადგან ამან შეიძლება გამოიწვიოს კანონით დაცული საჯარო ინტერესის დაზიანება. შესაბამისად, ის ფაქტი, რომ საკონტრაქტო მოსამსახურეები ვერ სარგებლობენ ბავშვის მოვლის შვებულებით ვერ ჩაითვლება კონსტიტუციური უფლებების ან თავისუფლებების, მათ შორის ვერც რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ბავშვებზე ზრუნვისა და მათი აღზრდის უფლების დარღვევად. გარდა ამისა, შეზღუდვა გამართლებულია სამხედრო სამსახურის ნებაყოფლობითი ხასიათით.

გამონაკლისის სახით, მხოლოდ ქალი სამხედრო მოსამსახურეებისთვის ბავშვის მოვლის შვებულების უფლების მინიჭებით კანონმდებელმა გაითვალისწინა, პირველ რიგში, ქალების მცირე ოდენობის საქმიანობა სამხედრო სამსახურში, და მეორე, ქალების განსაკუთრებული როლი დედობასთან დაკავშირებით. [ეს მოსაზრებები] შეესაბამება რუსეთის კონსტიტუციის 38-ე მუხლის პირველ პუნქტს. შესაბამისად, კანონმდებლის გადაწყვეტილება ვერ ჩაითვლება ადამიანის უფლებების და თავისუფლებების, თანასწორობის პრინციპის ან ქალისა და მამაკაცის თანასწორობის დარღვევად, რომელიც გარანტირებულია რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებში.

[სამხედრო სამსახურის შესახებ კანონის] მე-11 მუხლის მე-13 პუნქტიდან, რომელიც მხოლოდ ქალ სამხედრო მოსამსახურეებს აძლევს ბავშვის მოვლის შვებულების უფლებას, გამომდინარეობს, რომ ის არ არღვევს განმცხადებლის კონსტიტუციურ უფლებებს...

2.4 რადგანაც მოსამსახურეები, რომელთაც ჰყავთ მცირეწლოვანი შვილები არ სარგებლობენ ბავშვის მოვლის შვებულების უფლებით, მათ აგრეთვე არ აქვთ უფლება მიიღონ ყოველთვიური ბავშვის მოვლის დახმარება, რომელიც გაიცემა მხოლოდ იმ პირებზე, ვინც ზრუნავს წლინახევრამდე ასაკის ბავშვებზე...”

საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვიტა, რომ განმცხადებლის მიერ გასაჩივრებული დებულებები კონსტიტუციური იყო.

### გ. 2011 წლის 31 მარტის პროკურორის ვიზიტი.

35. 2011 წლის მარტში, დაუდგენელ დროს, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში რუსეთის წარმომადგენელმა, თხოვნით მიმართა ადგილობრივ სამხედრო პროკურატურას, გამოეკვლია განმცხადებლის ოჯახური მდგომარეობა. კერძოდ, მან სთხოვა პროკურორს დაედგინა, თუ სად ცხოვრობდა იმ პერიოდში განმცხადებელი, ქალბატონი ზ. და მათი შვილები და იხდიდა თუ არა ქალბატონი ზ. ბავშვების ალიმენტს.

36. მთავრობის განცხადებით, განმცხადებელი გამოძახებული იქნა პროკურატურაში დ უნდა გამოცხადებულიყო 2011 წლის 30 ან 31 მარტს. განმცხადებელმა განაცხადა, რომ მას ამის შესახებ უწყება არ მიუღია.

37. რადგანაც განმცხადებელი არ გამოცხადდა დადგენილ დროს პროკურატურაში, პროკურორმა გადაწყვიტა მას სახლში სწვეოდა. განმცხადებლის თანახმად, პროკურორი მივიდა მასთან ბინაში 2011 წლის 31 მარტის საღამოს 10 საათზე, რითაც გააღვიძა და დააფრთხო მისი შვილები. მოპასუხე სახელმწიფო ამტკიცებს, რომ პროკურორი მივიდა მასთან საღამოს 9 საათზე და დარჩა ერთი საათი.

38. პროკურორმა აუწყვა განმცხადებელს, რომ ის აწარმოებდა მოკვლევას ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში რუსეთის წარმომადგენლის თხოვნის საფუძველზე. მან ჩაინიშნა, თუ ვინ ცხოვრობდა ბინაში; შემდეგ მან სთხოვა განმცხადებელს წარმოედგინა სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც ეხებოდა

მისი უმცროსი შვილის სასარგებლოდ დანიშნულ ალიმენტს. როდესაც განმცხადებელმა განუმარტა მას, რომ ბავშვის ალიმენტთან დაკავშირებით არსებობდა ნოტარიუსის მიერ დამტკიცებული შეთანხმება, პროკურორმა სთხოვა მას წარმოედგინა ამ შეთანხმების ასლი. მან გააფრთხილა განმცხადებელი, რომ თუ ის არ წარმოადგენდა მოთხოვნილ დოკუმენტებს მის მეზობლებსაც დაკითხავდნენ.

39. განმცხადებელი დაუკავშირდა თავის წარმომადგენელს სასამართლოში და მისი რჩევის შესაბამისად არ შეასრულა პროკურორის მოთხოვნა და არ უპასუხა მის შემდგომ კითხვებს. მან ხელი მოაწერა აღნიშნულის ამსახველ წერილობით განცხადებას. ამის შემდეგ პროკურორმა დაუყოვნებლივ დატოვა სახლი.

40. პროკურორმა ხელახლა დაკითხა განმცხადებლის მეზობლები, რომლებმაც დაადასტურეს, რომ განმცხადებელი და ქალბატონი ზ. ერთად ცხოვრობდნენ.

41. მოპასუხე სახელმწიფოს განცხადებით, მოკვლევამ დაადასტურა, რომ განმცხადებელი და ქალბატონი ზ. ხელახლა დაქორწინდნენ 2008 წლის 1 აპრილს და მეოთხე შვილი შეეძინათ 2010 წლის 5 აგვისტოს. 2008 წლის დეკემბერში ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო განმცხადებელმა შეწყვიტა სამხედრო სამსახურის კონტრაქტი. განმცხადებელი და ქალბატონი ზ. გადაწყვეტილების მიღების დროისთვის ერთად ცხოვრობდნენ თავიანთ ოთხ შვილთან და ქალბატონი ზ-ს მშობლებთან ერთად.

## **I. შესაბამისი შიდა კანონმდებლობა.**

42. რუსეთის კონსტიტუცია ადგენს თანასწორობას უფლებებსა და თავისუფლებებში ყველასთვის რიგი საფუძვლების მიუხედავად, მათ შორის განურჩევლად სქესისა, სოციალური ან დასაქმების მდგომარეობისა. ქალებს და მამაკაცებს გააჩნიათ თანაბარი უფლებები და მოვალეობები და თანაბარი შესაძლებლობები (მუხლი 19, §§2-3).

43. კონსტიტუცია აგრეთვე შეიცავს სახელმწიფოს მიერ დედებისა და ოჯახის დაცვის გარანტიას. ბავშვის აღზრდა და მასზე ზრუნვა ორივე მშობლის თანაბარი უფლება და მოვალეობაა (მუხლი 38, §§1-2).

44. 2001 წლის 30 დეკემბრის შრომის კოდექსის თანახმად ქალებს ეკუთვნით ე.წ. “ფეხმძიმობის და მშობიარობის შვებულება”(დედობის შვებულება), რომელიც იწყება ბავშვის გაჩენამდე 70 დღით ადრე და გრძელდება ბავშვის გაჩენის შემდეგ 70 დღე (მუხლი 255). გარდა ამისა, ქალებს გააჩნიათ აგრეთვე უფლება, აიღონ ბავშვის მოვლის სამწლიანი შვებულება (ბავშვის მოვლის შვებულება). ბავშვის მოვლის შვებულება შეიძლება სრულად ან ნაწილობრივ აიღოს ბავშვის მამამ, ბებიამ, ბაბუამ, მეურვემ ან ნებისმიერმა ნათესავმა, რომელიც რეალურად ზრუნავს ბავშვებზე. ინდივიდი, რომელიც ბავშვის მოვლის შვებულებაში იმყოფება ინარჩუნებს თავის თანამდებობას სამსახურში. შრომით სტაჟში ბავშვის მოვლის შვებულებაში ყოფნის პერიოდიც ითვლება (მუხლი 256).

45. ავადმყოფობის ან დედობის გამო შვებულებისას სავალდებულო სოციალური დაზღვევის შესახებ ფედერალური კანონი (#255- FZ, 29 დეკემბერი, 2006) ადგენს, რომ დედობის შვებულების პერიოდში ქალი იღებს დედობის დახმარებას, რომელიც გაიცემა სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ფონდიდან და წარმოადგენს ხელფასის ას პროცენტს (მუხლი 11). ბავშვის მოვლის შვებულების პირველი წლინახევრის განმავლობაში პირი, რომელიც ზრუნავს ბავშვზე, იღებს ყოველთვიურად ბავშვის მოვლის დახმარებას, რომელიც გაიცემა სახელმწიფოს სოციალური დაზღვევის ფონდიდან და წარმოადგენს ხელფასის 40 პროცენტს, მაგრამ არანაკლებ 1500 რუბლისა (დაახლოებით 37.50 ევრო) პირველი ბავშვისთვის და 3000 რუბლს (დაახლოებით 75 ევრო) - ყოველი შემდგომი ბავშვისთვის (მუხლი 11, პუნქტი 2). მშობლის შვებულების მეორე წლინახევრის განმავლობაში არავითარი სოციალური დახმარება აღარ არის ხელმისაწვდომი.

46. სამხედრო მოსამსახურეების სტატუსის შესახებ ფედერალური კანონი (#. 76-FZ, 27 მაისი, 1998 - “სამხედრო სამსახურის შესახებ კანონი”), ადგენს, რომ ქალ სამხედრო მოსამსახურეებს ეკუთვნით დედობის შვებულება და ბავშვის მოვლის შვებულება შრომის კოდექსის (მუხლი 11, პუნქტი 13) შესაბამისად. იგივე ნორმა არ გვხვდება მამაკაც სამხედრო მოსამსახურეებთან დაკავშირებით.

47. კანონი აგრეთვე ითვალისწინებს, რომ ქალი სამხედრო მოსამსახურეები, ისევე როგორც მამაკაცი სამხედრო

მოსამსახურეები, რომლებიც ზრდიან დედის/მშობლის მზრუნველობა-მოკლებულ ბავშვებს, სარგებლობენ სოციალური დახმარებით ფედერალური კანონებისა და სხვა კანონდებლობის შესაბამისად, რაც მიმართულია ოჯახის, დედების და ბავშვების დაცვისკენ (მუხლი 10, პუნქტი 9).

48. სამხედრო სამსახურის შესახებ რეგულაციის თანახმად, რომელიც მიღებულია პრეზიდენტის 1999 წლის 16 სექტემბრის #1237 ბრძანების შესაბამისად, ქალ სამხედრო მოსამსახურეებს უფლება აქვთ მიიღონ დედის შვებულება, სამწლამდე ვადით ბავშვის მოვლის შევსება და თითოეულ მათგანთან დაკავშირებული სოციალური შეღავათი და დახმარება. საკონტრაქტო სამსახურში მყოფი მამაკაცი სამხედრო მოსამსახურეები სარგებლობენ სამთვიანი შვებულებით შემდეგ შემთხვევებში: ა. თუ მისი ცოლი დაიღუპა მშობიარობისას; ან ბ. თუ ის ზრდის 14 წლამდე ბავშვს ან ბავშვებს (16 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს), რომლებიც დარჩნენ დედის მზრუნველობის გარეშე (თუ დედა გარდაიცვალა, ჩამოერთვა მშობლის უფლება, აქვს ქრონიკული დაავადება, ან სხვა მდგომარეობის გამო ბავშვები მოკლებულნი არიან დედის მზრუნველობას)( მუხლი 32).

## II. შესაბამისი საერთაშორისო და შედარებითი მასალები

### ა. გაერთიანებული ერების აქტები

#### 1. ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია

49. გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1979 წელს მიღებული და რუსეთს მიერ 1981 წელს რატიფიცირებული ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის მე-5 მუხლი ადგენს შემდეგს:

“წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა სათანადო ზომა:

ა. ქალებისა და კაცების ქცევის სოციალური და კულტურული მოდელების გარდაქმნისთვის, რათა მიღწეული იქნეს ცრურწმენების და ჩვეულებითი და ყველა სხვა პრაქტიკის აღმოფხვრა, რომელიც ეფუძნება რომელიმე სქესის უპირატესობის ან დაკნინების იდეას ან ქალებისა და მამაკაცების სტერეოტიპულ როლებს;

ბ. იმის უზრუნველსაყოფად, რომ ოჯახური განათლება მოიცავს დედობის, როგორც სოციალური ფუნქციის სათანადო აღქმას და



ქალებისა და მამაკაცების საერთო პასუხისმგებლობის აღიარებას ბავშვების აღზრდასა და განვითარებაში, იმის გათვალისწინებით, რომ ბავშვის ინტერესები არის უპირატესი სიკეთე ყველა შემთხვევაში.”

50. მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისი ნაწილი ადგენს:

“წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა სათანადო ზომა ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად ყველა საკითხში, რაც უკავშირდება ქორწინებასა და საოჯახო ურთიერთობებს და განსაკუთრებით უნდა უზრუნველყონ ქალისა და მამაკაცის თანასწორობის საფუძველზე:

...

დ. ბავშვებთან დაკავშირებულ საკითხებში ერთიდაიგივე უფლებები და პასუხისმგებლობები ორივე მშობლისთვის მათი საქორწინო სტატუსის მიუხედავად; ყველა შემთხვევაში უმთავრესი უნდა იყოს ბავშვის ინტერესები;

...”

51. ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტმა რუსეთის ფედერაციის მიერ წარდგენილი პერიოდული მოხსენების პასუხად თავის დასკვნით მოსაზრებებში, რაც მიღებული იქნა 2010 წლის 30 ივლისს, განაცხადა კონკრეტულად შემდეგი:

“20. კომიტეტი კიდევ ერთხელ აღნიშნავს შეშფოთებას იმ პრაქტიკის, ტრადიციების, პატრიარქალური დამოკიდებულებების და ღრმად ფესვებგადგმული სტერეოტიპების არსებობის გამო, რომელიც უკავშირდება ცხოვრების ყველა სფეროში ქალისა და მამაკაცის როლს, პასუხისმგებლობასა და იდენტობას. ამ მხრივ, კომიტეტი შეშფოთებულია, რომ წევრი სახელმწიფო გამუდმებით უსვამს ხაზს ქალების, როგორც დედების და აღმზრდელების როლს. კომიტეტი შეშფოთებულია... რომ ჯერჯერობით, წევრ სახელმწიფოს არ მიუღია ეფექტური და სისტემატური ღონისძიებები სტერეოტიპების და ნეგატიური ტრადიციული ღირებულებების და პრაქტიკის შესაცვლელად და აღმოსაფხვრელად.

21. კომიტეტი მოუწოდებს წევრ სახელმწიფოს დაუყოვნებლივ შეიმუშავოს მრავალმხრივი სტრატეგია, რომელიც მოიცავს სხვათა შორის კანონმდებლობის გადახედვას და მომზადებას და მიზნებისა და დროში გაწერილი გეგმის ჩამოყალიბებას, რათა შეიცვალოს და აღმოიფხვრას ტრადიციული პრაქტიკა და სტერეოტიპები, რომელიც ქალთა დისკრიმინაციას ახდენენ...კომიტეტი აღნიშნავს, რომ ქალების პირველ რიგში დედებად და ცოლებად აღქმის შეცვლა და საზოგადოებაში ქალების ინდივიდებად და მამაკაცების თანასწორ

სუბიექტებად მიჩნევა აუცილებელია კონვენციის სრული იმპლემენტაციისთვის და ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობის მისაღწევად.”

## 2. საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის აქტები.

52. დასაქმებასა და პროფესიაში დისკრიმინაციის შესახებ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენცია (C111), რომელიც მიღებული იქნა 1958 წელს და რატიფიცირებული იქნა რუსეთის ფედერაციის მიერ 1961 წელს, 1-ელი მუხლი ადგენს შემდეგს:

“ 1. ამ კონვენციის მიზნებისთვის ტერმინი დისკრიმინაცია გულისხმობს-

ა. ნებისმიერ განსხვავებას, უფლების ჩამორთმევას ან უპირატესობის მინიჭებას რასის, კანის ფერის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური შეხედულების, ეროვნული წარმოშობის ან სოციალური მდგომარეობის საფუძველზე რასაც აქვს დასაქმებასა და პროფესიაში თანაბარი შესაძლებლობის ან მოპყრობის განადგურების ან ხელყოფის ეფექტი;

ბ. სხვა ისეთ განსხვავებას, უფლების ჩამორთმევას ან უპირატესობის მინიჭებას, რომელსაც აქვს დასაქმებასა ან პროფესიაში თანაბარი შესაძლებლობის ან მოპყრობის გაქარწყლების ან ხელყოფის ეფექტი, როგორც ამას განსაზღვრავს წევრი სახელმწიფო შესაბამისი დასაქმებულების და დამსაქმებლების ორგანიზაციებთან კონსულტაციების შემდეგ, თუ ასეთები არსებობენ და სხვა შესაბამის ორგანოებთან კონსულტაციების შემდეგ.

2. ნებისმიერი განსხვავება, უფლების ჩამორთმევა ან უპირატესობის მინიჭება კონკრეტულ სამუშაოსთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობენ მასში ნაგულისხმევი მოთხოვნებიდან, არ უნდა ჩაითვალოს დისკრიმინაციად...”

53. საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის კონვენცია ქალი და მამაკაცი დასაქმებულების თანაბარი შესაძლებლობებისა და თანაბარი მოპყრობის: საოჯახო პასუხისმგებლობების მქონე დასაქმებულების შესახებ (C156), რომელიც მიღებულია 1981 წელს და რუსეთის ფედერაციის მიერ რატიფიცირებულია 1998 წელს, მე-3 მუხლის 1-ელი პუნქტი ადგენს შემდეგს:

“ქალ და მამაკაც დასაქმებულებს შორის თანაბარი შესაძლებლობებისა და მოპყრობის ეფექტურად უზრუნველყოფისთვის ყველა წევრი სახელმწიფოს ეროვნული პოლიტიკის მიზანი უნდა იყოს, რომ ოჯახური პასუხისმგებლობის მქონე პირებს, რომლებიც მუშაობენ ან სურთ იყვნენ

დასაქმებულები, მიეცეთ საშუალება განახორციელონ ეს უფლება დისკრიმინაციის გარეშე და რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება მათ სამსახურსა და ოჯახურ პასუხისმგებლობებს შორის კონფლიქტის გარეშე.“

54. ამ კონვენციის შესავსებად მიღებული #165 რეკომენდაციის 22-ე მუხლი ადგენს შემდეგს:

“1. თითოეულ მშობელს უნდა ქონდეს შესაძლებლობა, რომ მშობიარობის შვებულების შემდეგ მიიღოს შვებულება (ბავშვის მოვლის შვებულება) ისე, რომ არ თქვას უარი თავის სამსახურზე და უზრუნველყოფილი იყოს მისი უფლება სამსახურის შენარჩუნებაზე.

2. მშობიარობის შვებულების შემდგომი შვებულების ხანგრძლივობა და პირობები რომელზეც საუბარია ამ პუნქტის პირველ ქვეპუნქტში, განისაზღვრება თითოეულ სახემწიფოში იმ საშუალებების შესაბამისად, რომელიც დადგენილია ამ რეკომენდაციის მესამე პუნქტში.

3. ამ პუნქტის პირველ ქვეპუნქტში ნახსენები შვებულების უზრუნველყოფა შეიძლება თანდათანობით მოხდეს.”

## **ბ. ევროპის საბჭოს აქტები**

### *1. ევროპის სოციალური ქარტია*

55. შესწორებული ევროპის სოციალური ქარტია რატიფიცირებული იქნა რუსეთის ფედერაციის მიერ 2009 წელს. რუსეთის ფედერაცია აცხადებს, რომ მისთვის სავალდებულოა, სხვათაშორის, 27-ე მუხლის შესრულებაც, რომელიც ადგენს შემდეგს:

“ოჯახური ვალდებულებების მქონე მამაკაც და ქალ მუშაკთა და ასეთ მუშაკთა და სხვა მუშაკთა შორის თანაბარ შესაძლებლობებსა და თანაბარ მოპყრობაზე უფლების ეფექტური განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, მხარეები ვალდებულებას იღებენ

...

2. უზრუნველყონ ერთ–ერთი მშობლისათვის შვებულების აღების შესაძლებლობა ბავშვის მოსავლელად დეკრეტული შვებულების შემდგომ პერიოდში, რომლის ხანგრძლივობა და პირობები უნდა განისაზღვროს ეროვნული კანონმდებლობით, კოლექტიური შეთანხმებით ან პრაქტიკით;”

### *2. საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციები და რეკომენდაციები.*

56. ბავშვის მოვლის შვებულებასთან დაკავშირებით თავის #1274 (2002) რეზოლუციაში საპარლამენტო ასამბლეამ განაცხადა შემდეგი:

“1. ბავშვის მოვლის შვებულება ევროპაში პირველად გამოყენებული იქნა 100 წელზე მეტი ხნის წინ, როგორც ბავშვის გაჩენისას დასაქმებული ქალების მიმართ სოციალური და დასაქმების პოლიტიკის მთავარი ელემენტი. მისი მიზანი იყო დედის ჯამრთელობის დაცვა და მისთვის ბავშვების მოვლის საშუალების მიცემა.

2. ბავშვის მოვლის შვებულება მას შემდეგ შეიცვალა, რათა დაეკმაყოფილებინა არა მხოლოდ ქალების არამედ მამაკაცების საჭიროებებიც, რომელთაც სურთ დააბალანსონ სამსახური და ოჯახური ცხოვრება და უზრუნველყონ თავიანთი შვილების კეთილდღეობა.

3. ბავშვის მოვლის შვებულების საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული მამაკაცების როლთან ოჯახურ ცხოვრებაში, რადგან ის საშუალებას იძლევა, არსებობდეს ჭეშმარიტი პარტნიორობა პასუხისმგებლობის განაწილების თვალსაზრისით ქალსა და მამაკაცს შორის, როგორც კერძო, ისე საჯარო სფეროში...”

57. საპარლამენტო ასამბლეამ დამატებით აღნიშნა, რომ ბავშვის მოვლის შვებულება ერთგვარად არ გამოიყენებოდა ყველა წევრ სახელმწიფოში. შესაბამისად, ის მოუწოდებდა წევრ სახელმწიფოებს შემდეგისკენ:

i. გაატარონ აუცილებელი ზომები, რათა კანონმდებლობა აღიარებდეს ოჯახის სხვადასხვაგვარ წყობას, თუ ამგვარი კანონმდებლობა უკვე მიღებული არ არის და შესაბამისად აღიარონ ბავშვის მოვლის შვებულების პრინციპი, მათ შორის ბავშვის შვილებასთან დაკავშირებით.

ii. შექმნან ბავშვის მოვლის შვებულების განხორციელებისთვის ხელსაყრელი სტრუქტურები, ბავშვის შვილების შემთხვევის ჩათვლით.”

58. თავის რეკომენდაციაში #1769 (2006) ოჯახური ცხოვრებისა და სამსახურის შეთავსების შესახებ საპარლამენტო ასამბლეამ აღნიშნა, რომ ევროპის საბჭოს ბევრი ქვეყანა ძალიან შორს იყო სამსახურისა და ოჯახური ცხოვრების შეთავსების მიზნის მიღწევისგან და არსებული სიტუაცია ძირითადად აზარალებდა ქალებს, რადგან სწორედ მათ ეკისრებოდათ ჯერ კიდევ პასუხისმგებლობის დიდი ნაწილი ოჯახის გაძლოლის, ბავშვების გაზრდის, და ძალიან ხშირად, მოსავლელმშობლებსა და მოხუცებზე ზრუნვისა. შესაბამისად ის მოუწოდებდა მინისტრთა

კომიტეტს წევრი სახელმწიფოებისთვის რეკომენდაცია მიელო, რომელიც მოითხოვდა შემდეგს:

“8.3 ზომების მიღებას, რომელიც გაამარტივებს ოჯახური ცხოვრებისა და სამუშაოს შეთავსებას კაცებისთვისაც და ქალებისთვისაც. მათ შორის:

...

8.3.5. ადეკვატური ანაზღაურების, კომპენსაციის გადახდას დედობის შვებულების დროს.

8.3.6. თუ აქამდე არ არის ეს გაკეთებული, მამის შვებულების შემოტანა კანონმდებლობაში, რომელიც ხელს შეუწყობს კაცებს ისარგებლონ ამით.

...

8.3.8. ანაზღაურებადი, სოციალურად უზრუნველყოფილი ბავშვის მოვლის შვებულების შემოტანა, რომელსაც მოქნილად გამოიყენებს დედაც და მამაც. განსაკუთრებული ყურადღება უნდა იქნეს გამახვილებული მამაკაცებისთვის მისი გამოყენების რეალური შესაძლებლობის მიცემაზე.”

### *3. მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციები.*

59. ვინაიდან აშკარა იყო ახლებული მიდგომის საჭიროება სამსახურისა და ოჯახური ცხოვრების შესათავსებლად, თავის #R (96)5 რეკომენდაციაში სამსახურისა და ოჯახური ცხოვრების შეთავსების შესახებ მინისტრთა კომიტეტმა რეკომენდაცია გაუწია წევრ სახელმწიფოებს:

“I. თანაბარი შესაძლებლობების და თანაბარი მოპყრობის საერთო პოლიტიკის ფარგლებში გაატარონ ზომები, რაც საშაულებას მისცემს ქალებსა და მამაკაცებს დისკრიმინაციის გარეშე უკეთ შეათავსონ თავიანთი ოჯახური და პირადი ცხოვრება.

II. ამ რეკომენდაციის დანართში აღწერილი ზოგადი პრინციპები და ღონისძიებები მიიღონ და აღასრულონ იმგვარად, რასაც ყველაზე შესაფერისად მიიჩნევენ მიზნის მისაღწევად ეროვნული მდგომარეობის და უპირატესობების შესაბამისად.”

60. დედობის, მამობის და ბავშვის მოვლის შვებულებასთან დაკავშირებით ზემოთხსენებული რეკომენდაციის დანართი განმარტავს შემდეგს:

“12. ქალებს ფეხძიმობის შემთხვევაში აქვთ უფლება სამართლებრივ დაცვაზე და განსაკუთრებით ადეკვატური ხანგძლივობის დედობის შვებულებაზე, ადეკვატურ ხელფასზე ან დახმარებაზე ამ პერიოდში და სამსახურის შენარჩუნებაზე.

13. ახალშობილი ბავშვის მამებს უნდა ჰქონდეთ მცირე ხნით შვებულების აღების და მათ ოჯახებთან ყოფნის უფლება. გარდა

ამისა დედასაც და მამასაც უნდა ჰქონდეს ბავშვის მოვლის შვებულების აღების უფლება ეროვნული ხელისუფლების მიერ განსაზღვრული ვადის განმავლობაში ისე, რომ არ დაკარგონ სამსახური და მასთან დაკავშირებული უფლებები, რაც გათვალისწინებულია სოციალური დაცვის ან დასაქმების კანონმდებლობით. უნდა არსებობდეს შესაძლებლობა ამგვარი ბავშვის მოვლის შვებულების ნახევარი განაკვეთით აღებისა და მშობლებს შორის მისი განაწილებისათვის.

14. მე-13 პუნქტში აღწერილი ღონისძიებები თანაბრად ვრცელდება იმ მშობლებზე, რომლებიც ბავშვს იშვილებენ.

15. ბავშვის მოვლის შვებულების ბოლოს სამსახურში დაბრუნების ხელშესაწყობად უნდა არსებობდეს მაგალითად პროფესიული სწავლებისა და მომზადების გავლის შესაძლებლობა.”

61. მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია #CM/Rec(2007)17 წევრი სახელმწიფოებისთვის გენდერული თანასწორობის სტანდარტების და მექანიზმების შესახებ შემდეგ რეკომენდაციას უწევს:

“... წევრი სახელმწიფოების ხელისუფლებამ უნდა მიიღოს და განამტკიცოს სათანადო ზომები გენდერული თანასწორობის პრაქტიკაში განსახორციელებლად. შემდეგი პრინციპებისა და სტანდარტების სრული გათვალისწინებით:

...

#### **ბ. სტანდარტები კონკრეტულ სფეროებში**

...

**5. პირადი/ოჯახური ცხოვრების შეთავსება პროფესიულ/საჯარო ცხოვრებასთან.**

34. გენდერული სტერეოტიპები და გენდერული როლების მკაცრი დაყოფა გავლენას ახდენს იმ სოციალურ მოდელზე, რომელიც აღიქვამს ქალს, როგორც ძირითადად პასუხისმგებელ პირს ოჯახურ და პირად ცხოვრებაზე (არაანაზღაურებადი ცხოვრების სფერო) და მამაკაცს - საჯარო და პროფესიულ ცხოვრებაზე (ანაზღაურებადი შრომის სფერო). ასეთი დაყოფა განაპირობებს არათანასწორად გადანაწილებული საშინაო და ოჯახური პასუხისმგებლობების არსებობას, რაც არის ქალთა დისკრიმინაციის მთავარი მიზეზი შრომის ბაზარზე და აგრეთვე განაპირობებს ქალების შეზღუდულ სოციალურ და პოლიტიკურ ჩართულობას.

35. ქალებისა და კაცების დაბალანსებული მონაწილეობა პროფესიულ/საჯარო ცხოვრებაში და კერძო/ოჯახურ ცხოვრებაში შესაბამისად ამოსავალია გენდერული თანასწორობისათვის და არსებითი საკითხია საზოგადოების განვითარებისთვის. მეორე მხრივ, შრომისა და საჯარო ცხოვრების შეთავსება ოჯახურ და კერძო

ცხოვრებასთან, თვითრეალიზების ხელშეწყობა საჯარო, პროფესიულ, სოციალურ და ოჯახურ ცხოვრებაში ცხოვრების დამაკმაყოფილებელი ხარისხის წინაპირობაა ყველასთვის. ქალებისთვის და კაცებისთვის, გოგონებისა და ბიჭებისთვის და ადამიანის უფლებებით სრული სარგებლობისთვის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სოციალურ სფეროებში.

36. გენდერული თანასწორობის მიმართ სახელმწიფოს პოლიტიკური ნებისა და ვალდებულების ელემენტები მოითხოვენ შემდეგს:

...

i. მიღება/არსებობა და აღსრულება დედობის და მამობის დაცვის კანონმდებლობისა, მათ შორის იმ დებულებებისა, რაც უკავშირდება ანაზღაურებად დედობის შვებულებას, ანაზღაურებად ბავშვის მოვლის შვებულებას, რაც თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა იყოს ორივე მშობლისთვის და ანაზღაურებადი, არაგადაცვლად მამობის შვებულებას, ისევე როგორც კონკრეტულ ღონისძიებებს, რომლებიც თანაბრად მიმართულია ქალებისა და მამაკაცებისკენ და მათი ოჯახური პასუხისმგებლობის შესრულების, მათ შორის, ავადმყოფი ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებზე და მათზე დამოკიდებულ პირებზე ზრუნვისა და დახმარების საშუალებას აძლევს ...”

62. საბოლოოდ, #CM/Rec(2010)4 რეკომენდაციაში შეიარაღებული ძალების წევრების ადამიანის უფლებების შესახებ მინისტრთა კომიტეტი რეკომენდაციას უწევს წევრი სახელმწიფოების ხელისუფლებას უზრუნველყონ შემდეგი: “პრინციპები, რომლებიც მოცემულია ამ რეკომენდაციის დანართში უნდა შესრულდეს შეიარაღებული ძალების წევრების მიმართ არსებულ ეროვნულ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში.” რეკომენდაციის დანართის 39-ე პრინციპი ადგენს რომ: “შეიარაღებული ძალების წევრები, რომლებიც პატარა ბავშვების მშობლები არიან უნდა სარგებლობდნენ დედობის ან მამობის შვებულებით, შესაბამისი ბავშვის მოვლის შეღავათებით, საბავშვო ბაღების ხელმისაწვდომობით და ბავშვებისთვის ადეკვატური ჯამრთელობის დაცვის და საგანმანათლებლო სისტემებით.”

## გ. ევროპის კავშირის აქტები

### 1. საბჭოს დირექტივები.

63. ბავშვის მოვლის შვებულებასთან დაკავშირებით ჩარჩო ხელშეკრულების დადების შესახებ 1996 წლის 3 ივნისის #96/34/EC საბჭოს დირექტივის თანახმად, რომელიც გაფორმდა ორგანიზაციების - „UNICE“-ის [ევროპის ინდუსტრიული და დამსაქმებელთა კონფედერაციების კავშირი], „CEEP“-ის [საჯარო საკუთრებაში არსებული საწარმოების და საზოგადო ეკონომიკური ინტერესის საწარმოების ევროპული ცენტრი] და „ETUC“-ის [ევროპის პროფესიულ კავშირთა კონფედერაცია] მონაწილეობით, ძალაში შევიდა 1995 წლის 14 დეკემბერს ინდუსტრიის სხვადასხვა წარმომადგენელ ორგანიზაციებს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც, სხვათაშორის, ადგენს შემდეგს:

“მუხლი 2. ბავშვის მოვლის შვებულება.

1. ეს ხელშეკრულება 2.2 მუხლის სუბიექტ ქალებს და მამაკაცებს ანიჭებს ბავშვის მოვლის შვებულების აღების ინდივიდუალურ უფლებას ბავშვის დაბადების ან მისი შვილებისას, რათა მათ საშუალება ჰქონდეთ იზრუნონ ბავშვზე, სულ მცირე სამი თვიდან გარკვეულ ასაკამდე, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს რვა წელს და რაც განსაზღვრული იქნებაწევრი სახელმწიფოების და /ან ადმინისტრაციის და მშრომელთა მიერ.

2. ქალებსა და მამაკაცებს შორის თანაბარი შესაძლებლობებისა და თანაბარი მოპყრობის უზრუნველსაყოფად ამ ხელშეკრულების მხარეები მიიჩნევენ, რომ ბავშვის მოვლის შვებულების უფლება, რაც გათვალისწინებულია 2.1 მუხლში, პრინციპში არაგადაცვლადი უნდა იყოს...”

64. 2010 წლის 8 მარტის #2010/18/EU საბჭოს დირექტივამ, რომელიც მიღებულია ორგანიზაციებში: „BUSINESSEUROPE“, „UEAPME“, „CEEP“ და „ETUC“ ბავშვის მოვლის შვებულების შესახებ განახლებული ჩარჩო ხელშეკრულების გამოყენებასთან დაკავშირებით ჩანაცვლა #96/34/EC დირექტივა. განახლებული ჩარჩო ხელშეკრულება ადგენს შემდეგს:

“მუხლი 2. ბავშვის მოვლის შვებულება.

1. ეს ხელშეკრულება ქალ და მამაკაც დასაქმებულებს ანიჭებს ბავშვის მოვლის შვებულების აღების ინდივიდუალურ უფლებას ბავშვის დაბადების ან შვილად აყვანისას ბავშვის მიერ 8 წლის ჩათვლით რომელიმე ასაკის მიღწევის ვადით, რომელსაც განსაზღვრავს შესაბამისი წევრი სახელმწიფო ან/და სოციალური პარტნიორები.

2. შვებულება უნდა იქნეს გაცემული სულ მცირე 4 თვის ვადით, ხელს უნდა უწყობდეს თანაბარ შესაძლებლობებს და თანაბარ მოპყრობას ქალებსა და კაცებს შორის და პრინციპში



არაგადაცვლადი უნდა იყოს. შვებულებისორივე მშობლის მიერ უფრო თანასწორად გამოყენების წახალისებისთვის ოთხი თვიდან სულ მცირე ერთი მაინც უნდა იყოს არაგადაცვლადი. არაგადაცვლადი პერიოდის გამოყენების ნაირსახეობები უნდა განისაზღვროს ეროვნულ დონეზე კანონმდებლობით და/ან კოლექტიური შეთანხმებით წევრ ქვეყნებში ბავშვის მოვლის შვებულებასთან დაკავშირებული რეგულაციების გათვალისწინებით.”

## 2. ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკა

65. საქმე “Joseph Griesmar v. Ministre de l’Economie, des Finances et de l’Industrie, Ministre de la Fonction publique, de la Réforme de l’Etat et de la Décentralisation” ეხება ბავშვების მომსახურების კრედიტს, რომელიც საფრანგეთის სამოქალაქო და სამხედრო საპენსიო სქემის მიხედვით ეკუთვნით მხოლოდ მდედრობით სამოქალაქო მოსამსახურებს. 2001 წლის 29 ნოემბერს მიღებულ გადაწყვეტილებაში ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ გაარკვია, რომ კრედიტის მიცემა არ უკავშირდებოდა დედობის შვებულებას ან რაიმე არახელსაყრელ გამოცდილებას, რაც ქალმა სამოქალაქო მოსამსახურემ თავის კარიერაში განიცადა ბავშვის გაჩენის გამო გარკვეული დროის განმავლობაში სამსახურში არ ყოფნის მიზეზით. ეს კრედიტი დაკავშირებული იყო ცალკე პერიოდთან, რომელიც გათვალისწინებული იყო ბავშვის აღზრდისთვის. ამ მხრივ, ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ დაადგინა, რომ ქალი და მამაკაცი სამოქალაქო მოსამსახურეების მდგომარეობა ანალოგიური იყო ბავშვების აღზრდასთან დაკავშირებით. კერძოდ, ის ფაქტი, რომ ქალი სამოქალაქო მოსამსახურეები უფრო მეტად ექვემდებარებოდნენ პროფესიულად არახელსაყრელ ეფექტებს, რაც გამოწვეულია ბავშვის აღზრდით რადგან ზოგადად ამ ფუნქციას ასრულებენ ქალები, არ გამორიცხავდა იმას, რომ მათი სიტუაცია ანალოგიური იყოს მამაკაცი სამოქალაქო მოსამსახურეების სიტუაციისა, რომლებმაც თავზე აიღეს ბავშვების აღზრდა და შესაბამისად აღმოჩნდნენ იმავე არახელსაყრელ სიტუაციაში კარიერასთან დაკავშირებით.

66. შემდეგ, ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ დაასკვნა, რომ საფრანგეთის კანონმდებლობა სქესის საფუძველზე განსხვავებულად ეპყრობოდა მამაკაც სამოქალაქო მოსამსახურეებს, რომლებმაც სინამდვილეში ბავშვების აღზრდის

ვალდებულება აიღეს. ეს ღონისძიება არ იყო გამართლებული იმით, რომ ქალი მოსამსახურეების მიერ თავიანთ კარიერაში განცდილი დაბრკოლებების კომპენსირება მოეხდინათ და დახმარებოდნენ ამ ქალებს თავიანთი პროფესიული ცხოვრების წარმართვაში მამაკაცების თანასწორად. ამის საწინააღმდეგოდ, ღონისძიება ვრცელდებოდა მხოლოდ ქალ სამოქალაქო მოსამსახურეებზე, რომლებიც დედები იყვნენ, და გულისხმობდა მომსახურების კრედიტის მინიჭებას მათი პენსიაზე გასვლის დროისთვის, რაც არ წარმოადგენდა პროფესიულ კარიერაში განცდილი პრობლემების წინააღმდეგ მიმართულ საშუალებას. შესაბამისად, ფრანგული კანონმდებლობა ხელყოფდა თანაბარი ანაზღაურების პრინციპს, რამდენადაც ის ართმევდა მამაკაც სამოქალაქო მოსამსახურეებს, რომლებსაც შეეძლოთ იმის დამტკიცება, რომ შეასრულეს ბავშვის აღზრდის ფუნქცია, კრედიტის მიღების უფლებას.

67. ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ 2010 წლის 30 სექტემბერს მიღებული გადაწყვეტილება საქმეში “Roca Álvarez v. Sesa Start España ETT SA” ეხება საკითხს მკერდით კვების შვებულებაზე (სამუშაო დღის ნახევარი საათით შემცირება ბავშვის გამოკვების მიზნით) უარის თქმა დასაქმებული მამებისთვის წარმოადგენდა თუ არა დისკრიმინაციას სქესის საფუძველზე, როცა ამგვარი შვებულების უფლება ენიჭებოდათ დედებს. ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ დაადგინა, რომ ქალი და მამაკაცი მუშაკების მდგომარეობა შედარებადია, როდესაც ისინი პატარა ბავშვის დედები და მამები არიან და აქვთ საჭიროება ყოველდღიური სამუშაო დროის შემცირებისა, რათა იზრუნონ ბავშვზე. ესპანეთის კანონმდებლობა ადგენდა განსხვავებას სქესის საფუძველზე, დასაქმებული პირის სტატუსის მქონე დედებსა და იმავე სტატუსის მქონე მამებს შორის.

68. რაც შეეხება განსხვავებული მოპყრობის გამართლებას, ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ დაადგინა, რომ პირველ რიგში განსახილველი შვებულება არ უკავშირდებოდა ბიოლოგიურად, მკერდით კვების ფაქტს და ეს უფლება ხელოვნური კვების შემთხვევაშიც მოქმედებდა. შესაბამისად, შვებულება უნდა ჩათვლილიყო დროდ, რომელიც ეძღვნებოდა ბავშვს და ღონისძიებად, რომელიც მიმართული იყო ოჯახური ცხოვრების და სამსახურის შეთავსებისკენ მშობიარობის შვებულების შემდეგ. ბავშვის კვება და მისთვის დროის მიძღვნა

მამებს ისევე შეუძლიათ როგორც დედებს, შესაბამისად, შვებულება უნდა ენიჭებოდეს დასაქმებულს, როგორც ბავშვის მშობელს. ის ვერ იქნებოდა გაგებული, როგორც ქალების ბიოლოგიური მდგომარეობის დაცვისკენ მიმართული საშუალება ფეხმძიმობის შემდეგ ან დედასა და ბავშვს შორის განსაკუთრებული ურთიერთობის დაცვა.

69. განსახილველი საკითხი არ წარმოადგენს მისაღები უპირატესობის მინიჭებას ქალებისთვის, რაც მიმართულია მათი კონკურენტუნარიანობის გაზრდისკენ შრომის ბაზარზე და მათთვის მამაკაცების თანასწორად კარიერის განვითარების შესაძლებლობის მინიჭებისკენ. პირიქით, ის ფაქტი, რომ მხოლოდ დასაქმებულ ქალს შეეძლო შვებულების აღება, როდესაც იმავე სტატუსის მქონე კაცს არ ქონდა ამის საშუალება, განაპირობებდა ტრადიციული როლების გაყოფის შენარჩუნებას ქალსა და მამაკაცს შორის, რომელიც მამაკაცს აიძულებს ქალთან შედარებით სუბსიდიური როლი ქონდეს მშობლის ფუნქციების შესრულებაში. დასაქმებული მამებისთვის უარის თქმა განსახილველ შვებულებაზე მხოლოდ იმ საფუძველით, რომ ბავშვის დედა არ იყო დასაქმებული, იწვევს იმ შედეგს, რომ დედას მოუხდება შეზღუდოს თვითდასაქმებისკენ მიმართული საქმიანობა და ბავშვის გაჩენით გამოწვეული ტვირთი მარტომ ზიდოს და ბავშვის მამას არ ექნება ამ ტვირთის შემსუბუქების საშუალება. შესაბამისად, ეს ღონისძიება ვერ იქნება განხილული, საზოგადოებაში არსებული უთანასწორობის შემცირებისკენ მიმართულ ზომად, ან ღონისძიებად, რომელიც მიმართულია არსებითი და არაფორმალური თანასწორობისკენ და ამცირებს საზოგადოებაში არსებულ რეალურ უთანასწორობას, რადგან წარმოადგენს შესაბამისი პირებისთვის პროფესიულ კარიერაში შექმნილი დაბრკოლებების აღკვეთის და კომპენსაციის საშუალებას.

70. ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ დაასკვნა, რომ ესპანეთის შესაბამისი კანონდებლობა არ შეესაბამებოდა ევროპის კავშირის კანონმდებლობას.

#### **დ. შედარებით-სამართლებრივი მასალები**

71. სასამართლომ ჩაატარა ევროპის საბჭოს 33 ქვეყნის კანონმდებლობის შედარებითი კვლევა (ალბანეთი, სომხეთი,

ავსტრია, აზერბაიჯანი, ბელგია, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ბულგარეთი, ხორვატია, კვიპროსი, ჩეხეთის რესპუბლიკა, ესტონეთი, ფინეთი, ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკამაკედონია, საფრანგეთი, გერმანია, საქართველო, საბერძნეთი, იტალია, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, მალტა, მოლდოვის რესპუბლიკა, ნიდერლანდები, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, სერბეთი, ესპანეთი, შვედეთი, შვეიცარია, თურქეთი და გაერთიანებული სამეფო.)

72. შედარებითი კვლევის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სამოქალაქო მოსამსახურეებთან დაკავშირებით ორ ქვეყანაში (სომხეთი და შვეიცარია), ბავშვის მოვლის შვებულების უფლება აქვთ მხოლოდ ქალებს. ერთ სახელმწიფოში (თურქეთი) კერძო სექტორში დასაქმებულ მამაკაცებს არ აქვთ ბავშვის მოვლის შვებულების აღების უფლება, ხოლო მამაკაც საჯარო მოსამსახურებს შეუძლიათ ამგვარი შვებულების აღება. ერთ ქვეყანაში (ბოსნია და ჰერცეგოვინა) კაცებს შეუძლიათ შვებულების აღება მხოლოდ განსაკუთრებული პირობებით (თუ ბავშვის დედას არ შეუძლია ბავშვზე ზრუნვა). ერთ სახელმწიფოში (ალბანეთში) კანონი საერთოდ არ ითვალისწინებს ბავშვის მოვლის შვებულებას. დანარჩენ 28 სახელმწიფოში ქალებს და კაცებს თანაბრად აქვთ ბავშვის მოვლის შვებულების აღების უფლება სამოქალაქო სექტორში.

73. ზოგიერთ ქვეყანაში ბავშვის მოვლის შვებულება არის ოჯახური უფლება, რომელსაც მშობლები საკუთარი არჩევანისამებრ იყოფენ (მაგალითად, აზერბაიჯანი, საქართველო, რუმინეთი). სხვა ქვეყნებში ის არის ინდივიდუალური უფლება, სადაც თითოეულ მშობელს ეკუთვნის ბავშვის მოვლის შვებულება გარკვეული ვადით (მაგალითად, ბელგია, ხორვატია, ჩეხეთის რესპუბლიკა, ლუქსემბურგი და იტალია). შვედეთში ეს არის ნაწილობრივ ოჯახური და ნაწილობრივ ინდივიდუალური უფლება, სადაც სამოცი დღე ეკუთვნის თითოეულ მშობელს და დანარჩენი დრო მათ უნდა გაიყონ საკუთარი არჩევანისამებრ. ზოგიერთ ქვეყანაში ბავშვის მოვლის შვებულებას არ ანაზღაურებენ (მაგალითად ავსტრია, ბელგია, კვიპროსი, მალტა, ნიდერლანდები, ესპანეთი და გაერთიანებული სამეფო). სხვა ქვეყნებში ბავშვის მოვლის შვებულებას ნაწილობრივ ან სრულად ანაზღაურებენ (აზერბაიჯანი, ჩეხეთის რესპუბლიკა, ლუქსემბურგი, პორტუგალია და სერბეთი). აგრეთვე განსხვავდება

მიდგომა ბავშვის მოვლის შვებულების ხანგძლივობასთან დაკავშირებით, რაც მერყეობს სამი თვიდან (ბელგია) - სამ წლამდე (ესპანეთი).

74. რაც შეეხება სამხედრო მოსამსახურეებს, როგორც ჩანს ერთ სახელმწიფოში (ალბანეთი) სამხედრო მოსამსახურეებს აშკარად არ გააჩნიათ ბავშვის მოვლის შვებულების უფლება. ექვს სახელმწიფოში (სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, მოლდოვეთის რესპუბლიკა, შვეიცარია და თურქეთი) მხოლოდ ქალ სამხედრო მოსამსახურეებს აქვთ ამგვარი შვებულების უფლება. სამ ქვეყანაში (ბოსნია და ჰერცეგოვინა, ბულგარეთი და სერბია) ყველა ქალ სამხედრო მოსამსახურეს აქვს ასეთი შვებულების უფლება, ხოლო მამაკაც სამხედრო მოსამსახურეებს - მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც მაგალითად, დედა გარდაიცვლება, მიატოვებს ბავშვებს, მძიმედ დაავადდება ან რაიმე გამამართლებელი მიზეზის გამო არ შეუძლია ბავშვზე ზრუნვა. დარჩენილ 23 ქვეყანაში როგორც ქალ, ისე მამაკაც სამხედრო მოსამსახურეებს თანაბრად მიუწვდებათ ხელი ბავშვის მოვლის შვებულებაზე.

75. ზოგ ქვეყანაში, (მაგალითად, ავსტრია, ხორვატია, კვიპროსი, ესტონეთი, ფინეთი, იტალია, ლუქსემბურგი, მალტა, პოლონეთი, პორტუგალია, სერბეთი და შვედეთი) ბავშვის მოვლის შვებულება სამხედრო მოსამსახურეებისთვის იგივე ზოგადი დებულებებით რეგულირდება, რაც გამოიყენება სამოქალაქო პირების მიმართ. სხვა ქვეყნებში (მაგალითად, ჩეხეთის რესპუბლიკა, საფრანგეთი, საბერძნეთი, ლატვია, ლიტვა და რუმინეთი) ბავშვის მოვლის შვებულებას არეგულირებს სპეციალური დებულებები, თუმცა ისინი არ ადგენს რაიმე განსხვავებულ წესებს სამოქალაქო პირების მიმართ გამოსაყენებელ წესებთან შედარებით. ხუთ ქვეყანაში (ბელგია, ნიდერლანდები, გერმანია, ესპანეთი და გაერთიანებული სამეფო) ბავშვის მოვლის შვებულებასთან დაკავშირებით სპეციალური დებულებები სამხედრო პერსონალის მიმართ შეიცავს გარკვეულ განსხვავებებს და შეზღუდვებს, რაც არ გამოიყენება სამოქალაქო პირების მიმართ. მაგალითად, ნიდერლანდების კანონმდებლობა ადგენს, რომ ბავშვის მოვლის შვებულება შეიძლება გადავადებული იქნეს, როდესაც სამსახურის მნიშვნელოვანი ინტერესები მოითხოვს ამას. გერმანიაში სამხედრო პერსონალი სარგებლობს იმავე საკანონმდებლო უფლებებით, როგორც სამოქალაქო პირები ბავშვის მოვლის შვებულებასთან

დაკავშირებით. თუმცა, თავდაცვის მინისტრს შეუძლია უარი განაცხადოს მოსამსახურისთვის ბავშვის მოვლის შვებულების მიცემაზე ან გამოიწვიოს შვებულებაში მყოფი მოსამსახურე ეროვნული თავდაცვის იმპერატიული საჭიროებების საფუძველზე. იგივენაირად, გაერთიანებულ სამეფოში სამხედრო მოსამსახურეებმა, რომლებსაც არსებითად ბავშვის მოვლის შვებულების აღების იგივე უფლებები აქვთ, რაც სამოქალაქო პირებს, შეიძლება ვერ აიღონ შვებულება მათთვის მოსახერხებელ დროს თუ მიიჩნევა, რომ ეს ცუდ გავლენას მოახდენს შეიარაღებული ძალების ეფექტურობაზე.

## კანონმდებლობა

### *I. კონვენციის მე-14 მუხლის შესაძო დარღვევა მე-8 მუხლთან მიმართებით*

76. განმცხადებელი ამტკიცებს, რომ მისთვის ბავშვის მოვლის შვებულების უფლებაზე უარის თქმა წარმოადგენს სქესის საფუძველზე დისკრიმინაციას. ის ეყრდნობა კონვენციის მე-14 მუხლს მე-8 მუხლთან მიმართებით. აღნიშნული დებულებები შემდეგნაირად იკითხება:

#### მუხლი 8

1. ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმოწერას.
2. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უწყსრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან მორალისა თუ სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.

#### მუხლი 14

ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, განურჩევლად სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების,

ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა ნიშნისა.

**ბ. კონვენციის მე-14 მუხლთან შესაბამისობა მე-8 მუხლთან მიმართებით.**

*1. პალატის გადაწყვეტილება*

98. „პეტროვიჩი ავსტრიის წინააღმდეგ“ საქმეზე დაყრდნობით ((*Petrovic v. Austria*),<sup>27</sup> მარტი, 1998, §§ 26-29, Reports 1998 II) პალატამ დაადგინა, რომ განმცხადებელს შეეძლო თავისი მოთხოვნები დაეფუძნებინა კონვენციის მე-14 მუხლზე. დამატებით მან დაადგინა, რომ განმცხადებელს, როგორც მამაკაც სამხედრო მოსამსახურეს ეპყრობოდნენ როგორც ქალი, ისე მამაკაცი სამოქალაქო პირებისგან, და აგრეთვე ქალის სამხედრო მოსამსახურეებისგან განსხვავებულად, რადგან ყველა მათგანს ქონდა ბავშვის მოვლის შვებულების უფლება. ბავშვის მოვლის შვებულების უფლებაზე უარის თქმა შესაბამისად ეფუძნებოდა ორ გარემოებას: სამხედრო სტატუსს დამატებული სქესი. ამასთან, მან დაადგინა, რომ ბავშვებთან ურთიერთობის თვალსაზრისით ბავშვის მოვლის შვებულების განმავლობაში ქალები და მამაკაცები ანალოგიურ სიტუაციაში არიან.

99. პალატამ აღნიშნა, რომ *პეტროვიჩის* საქმეში (*Petrovic*, ციტირებულია მაღლა) სქესის საფუძველზე განსხვავება ბავშვის მოვლის შვებულების დროს მიღებულ დახმარებასთან დაკავშირებით არ აღვევდა მე-14 მუხლს, რადგან იმ დროს, ამ სფეროში რა არსებობდა ევროპული კონსენსუსი, რადგან ხელშემკვრელი სახელმწიფოების უმრავლესობა არ ითვალისწინებდა ბავშვის მოვლის შვებულებას ან მასთან დაკავშირებულ დახმარებას მამებისთვის. დამატებით პალატამ აღნიშნა, რომ *პეტროვიჩის* საქმეზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სამართლებრივი სიტუაცია ბავშვის მოვლის შვებულების უფლებასთან დაკავშირებით ხელშემკვრელ სახელმწიფოებში განვითარდა. ევროპის ქვეყნების აბსოლუტურ უმრავლესობაში ახლა კანონდებლობა უზრუნველყოფს იმას, რომ ბავშვის მოვლის შვებულების აღება შეუძლია როგორც დედას, ასევე მამას. პალატის მოსაზრებით ეს ადასტურებს, რომ საზოგადოება წინ წავიდა ქალებსა და მამაკაცებს შორის ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებით

პასუხისმგებლობის უფრო თანასწორი განაწილებისკენ და კაცის როგორც მზრუნველის როლის აღიარებისკენ. შესაბამისად, დროული იყო *პეტროვიჩის* საქმის შეცვლა და იმის დადგენა, რომ არ არსებობდა ობიექტური ან გონივრული გამართლება ქალებისა და კაცების განსხვავებული მოპყრობისთვის ბავშვის მოვლის შვებულებასთან დაკავშირებით. დამატებით, პალატამ დაგმო გენდერული სტერეოტიპები ბავშვის აღზრდის სფეროში.

100. საქმის განსაკუთრებულ სამხედრო კონტექსტთან დაკავშირებით პალატამ აღნიშნა, რომ სამხედრო დისციპლინის სისტემა თავისი ბუნებით გულისხმობს შეიარაღებული ძალების წევრების უფლებების და თავისუფლებების გარკვეული შეზღუდვის შესაძლებლობას, რაც ვერ იქნება გამოყენებული სამოქალაქო პირების მიმართ. ამდენად, სახელმწიფოებს, რომლებმაც სურთ სამხედრო პერსონალის კონვენციის მე-5, მე-9, მე-10 და მე-11 მუხლებით გათვალისწინებული უფლებების შეზღუდვა, აქვთ ფართო თავისუფალი შეფასების ფარგლები. თუმცადა სახელმწიფოების თავისუფალი შეფასების ფარგლები ოჯახური და პირადი ცხოვრების სფეროში უფრო ვიწროა. მართლაც, სახელმწიფოებს შეუძლიათ გარკვეული შეზღუდვების დაკისრება სამხედრო პერსონალის მე-8 მუხლის უფლებებზე, თუ არსებობს რეალური საფრთხე სამხედრო ძალების სამოქმედო ეფექტურობისთვის, თუმცადა ამგავრი საფრთხის არსებობა უნდა „დასაბუთდეს კონკრეტული მაგალითებით“.

101. პალატამ არ გაიზიარა მოპასუხე სახელმწიფოს არგუმენტები, რომ სამხედრო მოსამსახურეებისთვის ბავშვის მოვლის შვებულების უფლების მიცემა ისევე, როგორც ეს უფლება აქვთ ქალ სამხედრო მოსამსახურეებს, უარყოფით შედეგს მოახდენდა შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობასა და ოპერატიულ ეფექტურობაზე. მართლაც, არ არსებობდა ექსპერტების მიერ ჩატარებული კვლევა ან სტატისტიკური კვლევა, თუ ერთდროულად რამდენი მამაკაცი სამხედრო მოსამსახურე დააკმაყოფილებდა ყველა პირობას ბავშვის მოვლის შვებულების მისაღებად და რამდენს ექნებოდა ამის სურვილი. მეტიც, ის ფაქტი რომ შეიარაღებულ ძალებში ქალების ოდენობა მნიშვნელოვნად ნაკლებია მამაკაცებთან შედარებით პალატის აზრით, ვერ ამართლებს ამ უკანასკნელების მიმართ არახელსაყრელ მოპყრობას ბავშვის მოვლის შვებულების უფლებასთან დაკავშირებით. ბოლოს, განსაკუთრებით საეჭვოა ის არგუმენტი, რომ სამხედრო



მოსამსახურეს შეეძლო გადამდგარიყო არმიაში სამსახურიდან, თუ მას უნდოდა პირადად ეზრუნა თავის შვილებზე, იმ სირთულის გათვალისწინებით, რაც დაკავშირებულია სამხედრო კვალიფიკაციის და გამოცდილების გამოყენებასთან სამოქალაქო სექტორში. პალატამ შეშფოთებით აღნიშნა, რომ მამაკაც სამხედრო მოსამსახურეებს უხდებოდათ მძიმე არჩევანის გაკეთება ახალდაბადებულ ბავშვებზე ზრუნვასა და სამხედრო კარიერის გაგრძელებას შორის, მაშინ როცა ასეთი არჩევანის წინაშე არ იდგნენ სახმედრო მოსამსახურე ქალები. შესაბამისად, პალატამ გადაწყვიტა, რომ მთავრობის მიერ წარმოდგენილი მიზეზები არ გამოდგებოდა ობიექტური ან გონივრული გამართლებისთვის იმ პირობებში, როდესაც კაცი სამხედრო მოსამსახურეების ოჯახური ცხოვრება იზღუდებოდა ბევრად უფრო მკაცრად ქალ სამხედრო მოსამსახურეებთან შედარებით.

## 2. განმცხადებლის არგუმენტები

102. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მთავრობის პოზიცია, რომლის მიხედვითაც განმცხადებელს არ ქონდა უფლება დაეფუძნებინა თავისი მოთხოვნა მე-14 მუხლზე მე-8 მუხლთან მიმართებით არ შეესაბამებოდა სასამართლოს დიდი ხნის წინ დადგენილ პრაქტიკას. სასამართლომ არაერთხელ აღნიშნა ბავშვის მოვლის შვებულებასთან, ისევე როგორც ბავშვების და მშობლების დახმარებასთან დაკავშირებით, რომ ის ხვდებოდა მე-8 მუხლის მოქმედების სფეროში და მე-14 მუხლი მე-8 მუხლთან მიმართებით შეიძლებოდა გავრცელებულიყო მასზე (იხ. ველერი უნგრეთის წინააღმდეგ (*Weller v. Hungary*) # 44399/05 § 29, 31 მარტი, 2009 ოკპიზი გერმანიის წინააღმდეგ (*Okpiz v. Germany*), # 59140/00, § 32, 25 ოქტომბერი, 2005; ნიეჟვიეცკი გერმანიის წინააღმდეგ (*Niedzwiecki v. Germany*), # 58453/00, §31, 25 ოქტომბერი, 2005 და პეტროვიჩის საქმე (*Petrovic*), ციტირებულია ზემოთ, §29). ის დამატებით ამტკიცებდა, რომ ბავშვის მოვლის შვებულება აუცილებელი იყო მისი ოჯახური ცხოვრების ხელშესაწყობად და მისი შვილების ინტერესების დასაცავად. რადგანაც მისი ყოფილი ცოლი არ ზრუნავდა ბავშვებზე, აუცილებელი იყო, რომ განმცხადებელი ყოფილიყო სახლში და ეზრუნა მათზე, რაც შეუძლებელი იქნებოდა ბავშვის მოვლის შვებულების გარეშე.

103. დამატებით, განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ თავის შვილებზე ზრუნვისთვის შვებულების აღების საჭიროების

თვალსაზრისით, ის ანალოგიურ მდგომარეობაში იმყოფებოდა სხვა მშობლებთან, კერძოდ ქალ სამხედრო მოსამსახურეებთან და ქალ და მამაკაც სამოქალაქო მოსამსახურეებთან. როგორც მამაკაცი სამხედრო მოსამსახურე ის ექვემდებარებოდა განსხვავებულ მოპყრობას, ზემოხსენებული მშობლების კატეგორიებთან შედარებით, რადგან მას არ შეეძლო ბავშვის მოვლის შვებულების აღება. ქალ სამხედრო მოსამსახურეებს, ისევე როგორც ორივე სქესის სამოქალაქო მოსამსახურეებს ბავშვის მოვლის სამწლიან შვებულებაზე გააჩნდათ უპირობო უფლება, მაშინ როცა მამაკაც სამხედრო მოსამსახურეებს შეეძლოთ მოეთხოვათ მაქსიმუმ სამი თვით შვებულების აღება, თუ ცოლი გარდაიცვლებოდა ან სხვა მიზეზის გამო მოკლებული იქნებოდა ბავშვზე ზრუნვის შესაძლებლობას. თუმცადა განმცხადებელს საბოლოოდ მისცეს ბავშვის მოვლის შვებულება, ეს არ ცვლის იმ ფაქტს, რომ მას დანარჩენი მშობლებისგან განსხვავებულად მოეპყრნენ. მეტიც, მისი ბავშვის მოვლის შვებულება უფრო ხანმოკლე იყო და ეროვნული სასამართლოს თანახმად უკანონოდ გაიცა. შესაბამისად, განმცხადებელი მთელი შვებულებაში ყოფნის განმავლობაში დაძაბული იყო, რადგან იცოდა, რომ შვებულება შეიძლებოდა გაუქმებულიყო და ის ნებისმიერ დროს შეიძლებოდა გამოეძახათ სამსახურში. გარდა ამისა, განმცხადებელს ეპყრობოდნენ სამხედრო მოსამსახურე ქალებისგან განსხვავებულად იმ მხრივაც, რომ მას უხდებოდათ მძიმე არჩევანის გაკეთება თავის სამხედრო კარიერასა და ოჯახურ ცხოვრებას შორის; სამხედრო მოსამსახურე ქალები კი ამგვარი არჩევანის წინაშე არ იდგნენ.

104. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ ბავშვების აღზრდაში ქალების განსაკუთრებული როლის შესახებ არგუმენტი ეფუძნებოდა გენდერულ სტერეოტიპებს. პოზიტიური დისკრიმინაციის დოქტრინასთან დაკავშირებით აღნიშნული იქნა, რომ ის ვერ გამოდგებოდა ქალებისა და მამაკაცების განსხვავებული მოპყრობის გასამართლებლად ბავშვის მოვლის შვებულებასთან დაკავშირებით. პოზიტიური დისკრიმინაციის ღონისძიებები პროპორციულად უნდა იყოს მორგებული ისტორიულად დაჩაგრული ჯგუფების, მაგალითად ქალების მიერ გადატანილი გაჭირვების განგრძობადი ეფექტების გამოსწორების, კომპენსაციის ან შემსუბუქების მიზანზე (იხ. რუნკე და უაითი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Runkee and White v. the United*

*Kingdom*), # 42949/98 და 53134/99, §§ 37 და 40-43, 10 მაისი, 2007 და სტეკი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Stec and Others v. the United Kingdom*), [დიდი პალატა] # 65731/01 §§ 61 და 66, ECHR 2006-VI). ქალების მიერ განცდილი ისტორიული ჩაგვრის შემსუბუქების ნაცვლად, პოლიტიკა, რომელიც მხოლოდ ქალებს აძლევს ბავშვის მოვლის შვებულების აღების უფლებას განამტკიცებს გენდერულ სტერეოტიპს, უთანასწორობას და სირთულეებს, რაც დაკავშირებულია ქალის ტრადიციულ როლთან, რომელიც გამოიხატება სახლში ოჯახზე ზრუნვით და არასამუშაო ადგილზე შემოსავლის მიღებით. აღნიშნულის შედეგად ამგვარი პოლიტიკა ეწევა როგორც კაცების (ოჯახურ ცხოვრებაში), ისე ქალების დისრიმინაციას (სამსახურში). განმცხადებელი ასკვნის, რომ ბავშვის მოვლის შვებულების უფლებასთან დაკავშირებით არ არსებობდა ობიექტური და გონივრული გამართლება ქალების და კაცების განსხვავებული მოპყრობისთვის.

105. რაც შეეხება არმიის ბრძოლისუნარიანობასთან დაკავშირებულ არგუმენტებს, განმცხადებელმა მიუთითა, რომ სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით არმიის ოპერატიულ ეფექტურობასთან დაკავშირებული საფრთხის არსებობა უნდა გამყარებულიყო მტკიცებულებებით რომლის ნამდვილობა და ადეკვატურობა სასამართლოს მიერ ზედმიწევნით შემოწმებას ექვემდებარება (ის მიუთითებდა საქმეზე სმიტი და გრეიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Smith and Grady v. the United Kingdom*) # 33985/96 და 33986/96 §§ 89-112, ECHR 1999-VI და ლუსტიგ პრენი და ბეკეტი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Lustig-Prean and Beckett v. the United Kingdom*), #31417/96 და 32377/96, §§ 82 და 88-98, 27 სექტემბერი, 1999). თავის მოსაზრებაში მოპასუხე სახელმწიფოს არ წარმოუდგენია მტკიცებულებები იმის საჩვენებლად, თუ მამაკაცი სამხედრო მოსამსახურეებისთვის ბავშვის მოვლის შვებულების გახანგძლივება როგორ უქმნიდა საფრთხეს არმიის ბრძოლისუნარიანობას. რაც მთავარია, მთავრობის მიერ წარმოდგენილი სტატისტიკა არ იძლევა დასკვნის გაკეთების საშუალებას და არ ეყრდნობა რაიმე სხვა დოკუმენტს. არმიის თანამშრომელთა სამ წლამდე ბავშვების ოდენობა, რაზეც მიუთითებდა ხელისუფლება აშკარად მოიცავდა ქალი მოსამსახურეების ბავშვებსაც და არმიის ადმინისტრაციული თანამშრომლების შვილებსაც. შესაბამისად, შეუძლებელი იყო იმის

დადგენა, თუ რამდენი მამაკაცი სამხედრო მოსამსახურეს შეიძლება მოეთხოვას მშობლის შვებულება ერთდროულად, დროის რაიმე მომენტში. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მიერ იმის აღიარება, რომ ისინი არ ფლობდნენ რელევანტურ სტატისტიკურ ინფორმაციას აჩვენებდა, რომ სამართლებრივი დებულებები, რომლებიც მხოლოდ ქალ მოსამსახურეებს აძლევენ ბავშვის მოვლის შვებულებას არ ეფუძნებოდა რაიმე ფაქტობრივ საფუძველს მათი მიღების მომენტში და მათი ფაქტებზე დაფუძნებული გადახედვა და განახლება არ მომხდარა. განმცხადებლის შეფასებით მამაკაცი სამხედრო მოსამსახურეების ოდენობა, რომლებსაც შეუძლიათ ბავშვის მოვლის შვებულების აღება ერთდროულად ნებისმიერი დროის მონაკვეთში არ იქნება საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურეების 3.47 პროცენტზე მეტი. მეტიც, ყველა მათგანი არ მოისურვებს ბავშვის მოვლის შვებულების აღებას. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ რუსული კანონმდებლობის თანახმად სამხედრო ნაწილის შემადგენლობის 30 პროცენტს შეეძლო ერთდროულად აეღო შვებულება და ამგვარი სამხედრო დანაყოფი მაინც სრულად ოპერატიულად ითვლებოდა.

106. განმცხადებელი დამატებით ამტკიცებდა, რომ მართალია შეიარაღებულ ძალებში ნაკლები რაოდენობით არის წარმოდგენილი, ისინი ხშირად ასრულებენ იგივე ფუნქციებს, რასაც მომსამსახურე მამაკაცები. მაგალითად, განმცხადებლის უფროსი 1999 წელს იყო ქალი. როგორც დასაქმებული თანამშრომლების სიიდან ჩანს კონკრეტულ დღეებში მორიგე ქალების რიცხვი მის ნაწილში შეადგენდა 60 პროცენტს. ეს ქალი მოსამსახურეები სარგებლობდნენ ბავშვის მოვლის შვებულების აღების უფლებით და ამას არასოდეს შეუქმნია საფრთხე არმიის მოქმედების ეფექტურობისთვის. მისი აზრით, წმინდა რაოდენობრივი მიდგომის ნაცვლად მოპასუხე სახელმწიფოს უნდა გამოეყენებინა თვისობრივი მიდგომა და გაეთვალისწინებინა კონკრეტული პირის მოვალეობების ხასიათი. განმცხადებელმა დაასკვნა, რომ ხელისუფლებას არ ქონდა ობიექტური და გონივრული გამართლება ქალი და მამაკაცი მოსამსახურეების განსხვავებული მოპყრობისთვის ბავშვის მოვლის შვებულებასთან დაკავშირებით.

107. გარდა ამისა, მოპასუხე სახელმწიფოს იმ არგუმენტის პასუხად, რომ სამხედრო კონტრაქტზე ხელის მოწერით

განმცხადებელი დათანხმდა თავისი უფლებების შეზღუდვას, განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ კონვენცია ვრცელდება შეიარაღებული ძალების წევრებზეც, ისევე როგორც სამოქალაქო პირებზე (მან მოიყვანა საქმე ენგელი და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ (*Engel and Others v. the Netherlands*), 8 ივნისი, 1976 წელი, § 54 სერია ა, #22 და ლუსტიგ-პრენისა და ბეკეტის საქმე (*Lustig-Prean and Beckett*), ციტირებულია ზემოთ, § 82). გარდა ამისა, ის ამტკიცებდა, რომ თუმცა კონვენციის უფლებებზე უარის თქმა შეიძლება, უარის თქმა ნამდვილად ჩაითვლებოდა მხოლოდ გარკვეული პირობების არსებობისას. პირველ რიგში, უარის თქმა „არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს რაიმე მნიშვნელოვან საჯარო ინტერესს“ (მან მიუთითა საქმე ჰერმი იტალიის წინააღმდეგ (*Hermi v. Italy*), [დიდი პალატა] #18114/02 § 73, ECHR 2006-XII). მეორე, უარის თქმა „ერთმნიშვნელოვნად უნდა დადგინდეს და ყველა ფაქტის ცოდნის საფუძველზე უნდა მოხდეს ანუ საჭიროა ინფორმირებული თანხმობა“ (მან მიუთითა საქმე დ.ჰ. და სხვები ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ (*D.H. and Others v. the Czech Republic*), [დიდი პალატა] # 57325/00 §202, ECHR 2007-IV). განმცხადებლის მოსაზრებით უფლებაზე უარის თქმა, რომელსაც მოპასუხე სახელმწიფო იშველიებს მოცემულ საქმეში არ აკმაყოფილებს ზემოხსენებულ კრიტერიუმებს. სასამართლომ უკვე აღნიშნა რასობრივი დისკრიმინაციის კონტექსტში, რომ “რასობრივი დისკრიმინაციის აკრძალვის ფუნდამენტური მნიშვნელობის გათვალისწინებით... უარის თქმა რასობრივი დისკრიმინაციის აკრძალვის უფლებაზე ვერ იქნება მიღებული, რადგან ეს წინააღმდეგობაში მოვიდოდა მნიშვნელოვან საჯარო ინტერესთან.” (მან მიუთითა დ.ჰ.-ს და სხვების საქმე, ციტირებულია ზემოთ, §204). ის ამტკიცებდა, რომ რადგანაც სქესობრივი დისკრიმინაციის აკრძალვა თანაბრად ფუნდამენტური მნიშვნელობისაა (მან მიუთითა საქმე ანდრლე ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ (*Andrle v. the Czech Republic*) #6268/08 §49, 17 თებერვალი, 2011; ვან რაალტე ნიდერლანდების წინააღმდეგ (*Van Raalte v. the Netherlands*), 21 თებერვალი, 1997, §39, *Reports* 1997-I და აბდულ აზიზი, კაბალესი და ბალკანდალი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Cabales and Balkandali v. the United Kingdom*) 28 მაისი, 1985, §78, სერია ა, #94), სქესის საფუძველზე დისკრიმინაციის აკრძალვის უფლებაზე უარის თქმა არ შეიძლება. გარდა ამისა, უფლებაზე უარის თქმა, რასაც

მოპასუხე სახელმწიფო იშველიებდა არგუმენტად, ვერ ჩაითვლება ერთმნიშვნელოვნად. განმცხადებლის მიერ ხელმოწერილი კონტრაქტი იყო სტანდარტული ერთგვერდიანი ფორმა, რომელიც ნათლად არ აუწყებდა ხელმომწერს, რომ ის ვალდებულებას იღებდა უარი ეთქვა ბავშვის მოვლის შვებულებაზე.

108. საბოლოოდ, განცხადებელი ამტკიცებდა, რომ რუსული სამართალი არ ტოვებდა შესაძლებლობას არმიაში ბავშვის მოვლის შვებულებასთან დაკავშირებით ინდივიდუალიზებული მიდგომისთვის. მოცემული საქმის გარემოებები ამას ძალიან აშკარად წარმოაჩენდნენ. მართლაც, მას შემდეგ რაც განმცხადებელს მისცეს ბავშვის მოვლის შვებულება მისი მძიმე ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით, შიდა სასამართლომ ეს ღონისძიება არაკანონიერად გამოაცხადა. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მისაღები ინდივიდუალიზებული მიდგომა იქნებოდა ბავშვის მოვლის შვებულების გაცემა არმიაში მისი თანამდებობის და არა მისი სქესის გათვალისწინებით. კერძოდ, უნდა მომხდარიყო იმის გათვალისწინება, იყო თუ არა მისი ნაწილი ჩართული მიმდინარე სამხედრო ოპერაციებში, ან თუ ემზადებოდა ამგავრი ოპერაციებისთვის და ნაწილში მისი თანამდებობის გათვალისწინება. განმცხადებლის აზრით არალოგიკური იყო, რომ ქალი სამხედრო მოსამსახურეები, რომლებსაც მნიშვნელოვანი სამხედრო თანამდებობები ქონდათ ნაწილში, ავტომატურად სარგებლობდნენ ბავშვის მოვლის შვებულებით, მაშინ როდესაც მამაკაცი სამხედრო მოსამსახურეები შედარებით უმნიშვნელო სამხედრო პოზიციებზე ასეთი უფლებით ვერ სარგებლობდნენ.

### *3. მთავრობის არგუმენტები.*

109. საქმის დიდი პალატისთვის გადაცემის მოთხოვნისას მოპასუხე სახელმწიფო ამტკიცებდა რომ განმცხადებელს არ ქონდა უფლება თავისი მოთხოვნა დაეფუძნებინა მე-14 მუხლზე მე-8 მუხლთან მიმართებით. მე-8 მუხლი არ ადგენდა ბავშვის მოვლის შვებულების ან ბავშვის მოვლის დახმარების მიღების უფლებას. აღნიშნული უფლებები თავისი ბუნებით სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებს წარმოადგენენ, რომლებსაც ევროპის სოციალური ქარტია იცავს. კონვენციაში ისინი მოცემული არ არიან. შესაბამისად, მუხლი 14, რომელსაც არ გააჩნია დამოუკიდებელი არსებობა, ვერ იქნებოდა გამოყენებული.

110. მოპასუხე სახელმწიფომ აღიარა, რომ განმცხადებელი იმყოფებოდა სხვა მშობლებთან, კერძოდ ქალ სამხედრო მოსამსახურეებთან და ორივე სქესის სამოქალაქო მოსამსახურეებთან ანალოგიურ მდგომარეობაში. რადგანაც მას მისცეს ბავშვის მოვლის შვებულება, მის მიმართ მოპყრობა არ ყოფილა განსხვავებული.

111. მეტიც, მოპასუხე სახელმწიფო ამტკიცებდა, რომ სამხედრო პერსონალს ქონდა სპეციალური სტატუსი, რადგან მათი ამოცანა იყო ქვეყნის დაცვა და სახელმწიფოს უშიშროების უზრუნველყოფა. შესაბამისად, სახელმწიფოს ქონდა უფლება შეზღუდა მათი სამოქალაქო უფლებები და თავისუფლებები და დაეკისრებინა მათთვის განსაკუთრებული მოვალეობები. სამხედრო კარიერის არჩევა იყო ნებაყოფლობითი, მოხდა სამხედრო მომსახურების კონტრაქტზე ხელის მოწერით და ერთგულების ფიცის დადებით. მოსამსახურე დათანხმდა სამხედრო დისციპლინის სისტემას, რაც თავისი ბუნებიდან გამომდინარე გულისმობდა შეზღუდვების დაკისრების შესაძლებლობას, რომელიც ვერ იქნებოდა გამოყენებული სამოქალაქო პირების მიმართ(მათ მოიყვანეს საქმე კალაჩი თურქეთის წინააღმდეგ (*Kalaç v. Turkey*) 1 ივნისი, 1997, §28, *Reports* 1997-IV). ისინი აგრეთვე ახსენებდნენ საქმეს ვ. ი. ი. და ზ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*W., X., Y. and Z. v. the United Kingdom*) (# 3435/67, 3438/67, 3437/67, 3438/67 კომისიის გადაწყვეტილება, 19 ივლისი, 1968, *Yearbook of the European Convention on Human Rights*, ტ.11 (1968), გვ.562, 598), სადაც კომისიამ დაადგინა, რომ “ტერმინი ოჯახური ცხოვრების პატივისცემა ვერ განიმარტება ისე ფართოდ, რომ საშუალება მისცეს ინდივიდს, თუნდაც მცირეწლოვანს, რომ განთავისუფლდეს გრძელვადიანი დასაქმების ხელშეკრულებისგან, რომელიც ნებაყოფლობით დადო, მაგრამ რომელიც გულისხმობს განშორებას თავისი ოჯახთან შვებულების პერიოდების გარდა.”

112. მოპასუხე სახელმწიფო დამატებით ამტკიცებს, რომ სახელმწიფოებს გააჩნიათ ფართო თავისუფალი შეფასების ფარგლები ეროვნული უშიშროების, ისევე როგორც ეკუნომიკური და სოციალური სტრატეგიის ზოგადი ღონისძიებების საკითხებზე(ისინი იშველიებდნენ საქმეებს ჯეიმსი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*James and Others v. the United*

*Kingdom*),<sup>21</sup> თებერვალი, 1986, პარ. 46, სერია ა, # 98 და ეროვნული და პროვინციის სამშენებლო საზოგადოება, ლიდსის მუდმივი სამშენებლო საზოგადოება და იორკშირის სამშენებლო საზოგადოება გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*National & Provincial Building Society, Leeds Permanent Building Society and Yorkshire Building Society v. the United Kingdom*), 23 ოქტომბერი, 1997, პარ 80, *Reports 1997-VII*). საზოგადოების და მათი ინტერესების უკეთესად ცოდნის გამო, ეროვნულ ხელისუფლებას საერთაშორისო მოსამართლესთან შედარებით უფრო მეტი შესაძლებლობა აქვს იმის განსაზღვრისთვის, თუ რა წარმოადგენს საჯარო ინტერესს. სასამართლომ პატივი უნდა სცეს საკანონმდებლო ორგანოს პოლიტიკურ არჩევანს, თუ ის „ამკარად მოკლებული არ არის გონივრულ საფუძველს“.

113. მათ მოიშველიეს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, სადაც დადგინდა, რომ სამხედრო სამსახური გულისხმობდა განსაკუთრებულ მოთხოვნებს, რადგან საჭიროებდა მოსამსახურეების მიერ თავიანთი მოვალეობების უწყვეტად შესრულებას და, რომ შესაბამისად მამაკაცი სამხედრო მოსამსახურეების მიერ ბავშვის მოვლის შვებულების აღება ხანგრძლივი ვადით უარყოფით შედეგს მოახდენდა შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობასა და ოპერატიულ ეფექტურობაზე. ამ დასკვნას ქონდა ობიექტური და გონივრული გამართლება შემდეგი მიზეზებით. პირველ რიგში, როგორც გაერთიანებული სამეფოს მოპასუხე სახელმწიფომ აღნიშნა საქმეში ვ. ი. ი. და ზ გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (ციტირებულია ზემოთ) “ხელისუფლების ორგანოებმა, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან შეიარაღებული ძალების მართვაზე (რომლებზეც დამოკიდებულია სახელმწიფოს უშიშროება), უნდა უზრუნველყოს ამგვარი ძალების განგმობადი და ეფექტური დაკომპლექტება იმისთვის, რომ მათ შეასრულონ თავიანთი ვალდებულებები.” მეორე, 2011 წლის 1 იანვარს საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვი წარმოადგენდა 216600 ადამიანს. იმავე დროისთვის სამხედრო და ადმინისტრაციული არმიის შემადგენლობის თანამშრომლებს სულ ყავდათ 50519 სამ წლამდე ასაკის ბავშვი. მოპასუხე სახელმწიფომ განაცხადა, რომ ისინი დამატებით სტატისტიკას ვერ წარმოადგენდნენ. კერძოდ, მათ არ ქონდათ სტატისტიკა თუ რამდენ მამაკაც სამხედრო მოსამსახურეს ყავდა სამ წლამდე ასაკის ბავშვი. თუმცაღა რადგან ყველა მამაკაცი სამხედრო მოსამსახურე არის ბავშვის შეძენის



ასაკში, ამგვარი ადამიანების რიცხვი შეიძლება დიდი ყოფილიყო.

114. მოპასუხე სახელმწიფომ აღიარა, რომ მათ არ შეეძლოთ წარმოედგინათ რაიმე დოკუმენტი, რომელიც დაკავშირებული იქნებოდა საპარლამენტო დებატებთან სამხედრო პერსონალისთვის ბავშვის მოვლის შვებულების მინიჭების შესახებ. სამხედრო სამსახურის შესახებ კანონი მიღებული იქნა ცამეტი წლის წინ ანუ რუსეთის მიერ კონვენციის რატიფიცირებამდე; ამდენად რუსეთის პარლამენტს არ ქონდა ვალდებულება კონვენციის მიხედვით ემსჯელა განსხვავებული მოპყრობის გამართლების საკითხზე და სასამართლოს არ ქონდა *ratione temporis* იურისდიქცია განეხილა საპარლამენტო დებატთან დაკავშირებული საკითხები, რაც წინ უსწრებდა შესაბამისი კანონის მიღებას.

115. დამატებით, მოპასუხე სახელმწიფო ამტკიცებდა, რომ ევროპის საბჭოს რიგ ქვეყნებში ბავშვის მოვლის შვებულების უფლება არ გააჩნდათ სამხედრო მოსამსახურეებს. ამ ქვეყნებს შორის არის ბულგარეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა, პოლონეთი, თურქეთი და შვეიცარია. გარდა ამისა ბევრ ქვეყანაში, ბავშვის მოვლის შვებულება იყო ბევრად უფრო ნაკლები ვიდრე რუსეთში. იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთში ბავშვის მოვლის შვებულება არის სამწლიანი, სამსახურში ასე ხანგრძლივი არყოფნა ნეგატიურ ეფექტს მოახდენდა სამხედრო მოსამსახურის სამხედრო უნარებზე, რაც ხშირად დაკავშირებულია მაღალ ტექნოლოგიური სამხედრო აღჭურვილობის გამოყენებასთან და ძვირადღირებული ხელახალი წვრთნა გახდება საჭირო მათი სამსახურში დაბრუნებისას. ამგვარ სიტუაციაში გონივრულია, რომ ბავშვის მოვლის შვებულების აღება შეუძლიათ მხოლოდ მოსამსახურეების ცოლებს, რომელთა სამსახურში არყოფნას ნაკლებად ნეგატიური შედეგი ექნება საზოგადოებისთვის. კერძოდ, განმცხადებელი მუშაობდა რადიო დაზვერვის ოპერატორად ნაწილში, რომელიც მუდამ უნდა ყოფილიყო საბრძოლო მზადყოფნაში. იმავდროულად, მათ აღიარეს რომ განმცხადებლის თანამდებობაზე შეიძლება ემუშავა ქალს, რომელსაც ბავშვის მოვლის შვებულების აღების უფლება ექნებოდა.

116. ამ თვალსაზრისით, მოპასუხე სახელმწიფო ამტკიცებდა რომ ქალ სამხედრო მოსამსახურეებს გამონაკლისის სახით აძლევდნენ ბავშვის მოვლის შვებულებას რიგი მოსაზრებების

გამო.პირველ რიგში თანამედროვე სამეცნიერო კვლევების თანახმად, არსებობს განსაკუთრებული ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური კავშირი დედასა და ახალდაბადებულ ბავშვს შორის. დედის სიახლოვე და ზრუნვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვის ცხოვრების პირველი წლის განმავლობაში. შესაბამისად ბავშვის ინტერესს წარმოადგენდა, რომ დედას აელო ბავშვის მოვლის შვებულება. მეორე, იმის გათვალისწინებით, რომ არმიაში ცოტა ქალები იყვნენ მათი არ ყოფნა სამსახურში ვერ მოახდენდა გავლენას არმიის ბრძოლისუნარიანობაზე. მართლაც 2011 წლის პირველ იანვარს, რუსულ არმიაში მუშაობდა მხოლოდ 1948 სამხედრო მოსამსახურე ქალი; შესაბამისად 2011 წელს ქალები წარმოადგენდნენ სამხედრო შემადგენლობის 0.8 % (2008 - 10 %). გარდა ამისა, მათი უმრავლესობა მუშაობდა თანამდებობაზე, რომელიც პირდაპირ არ იყო დაკავშირებული სამხედრო მოვალეობებთან, ანუ სამედიცინო, ფინანსურ და კავშირგაბმულობის დეპარტამენტებში. ამის გათვალისწინებით განსახილველი საქმე წარმოადგენდა ქალების გამართლებულ პოზიტიურ დისკრიმინაციას.

117. ხელისუფლება აგრეთვე ამტკიცებდა, რომ რუსული კანონმდებლობა ითვალისწინებდა გამონაკლისებს იმ წესიდან, რომ მოსამსახურე მამაკაცებს არ ქონდათ ბავშვის მოვლის შვებულების აღების უფლება. კერძოდ, სამხედრო სამსახურის შესახებ რეგულაციების (იხ. ზემოთ, პარ. 48) 32-ე მუხლის მე-7 პუნქტი ადგენს, რომ მამაკაცი საკონტრაქტო მოსამსახურე უფლებამოსილი იყო მიეღო ბავშვის მოვლის შვებულება შემდეგ ორ შემთხვევაში: ა. თუ მისი ცოლი გარდაიცვლებოდა მშობიარობისას. ბ. თუ ის ზრდიდა ბავშვს ან ბავშვებს 14 წლამდე (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს 16 წლამდე), რომლებიც დარჩნენ დედის მზრუნველობის გარეშე (თუ დედა გარდაიცვალა, ჩამოერთვა მშობლის უფლება, ხანგძლივად ავადმყოფობს, ან არსებობს სხვა მსგავსი სიტუაცია, როდესაც ბავშვების დედის მზრუნველობის გარეშე არიან). გამონაკლისების სია არ არის ამომწურავი. მოპასუხე სახელმწიფომ აგრეთვე მიუთითა სამხედრო სამსახურის შესახებ კანონის მე-10 მუხლის მე-9 პუნქტზე, სადაც აღნიშნულია, რომ სამხედრო მოსამსახურე, რომელიც ზრდის ბავშვს დედის/მამის მზრუნველობის გარეშე სარგებლობს უფლებით მიიღონ სოციალური დახმარება ფედერალური კანონების და სხვა კანონმდებლობების

შესაბამისად, რაც მიმართულია ოჯახის, დედების და ბავშვების დაცვისკენ. წარმოდგენილი დოკუმენტები აჩვენებს სტატისტიკას სამხედრო მოსამსახურე მამაკაცებისთვის და პოლიციელი მამაკაცებისთვის ბავშვის მოვლის შვებულების მიცემის შესახებ. სტატისტიკური ინფორმაციიდან აშკარაა, რომ 2007 წელს მხოლოდ ერთ შემთხვევა იყო, როცა სამხედრო მოსამსახურემ მიიღო წლინახევრით ბავშვის მოვლის შვებულება ცოლის მძიმე დაავადების გამო. ამგვარადვე, 2010 წელს სხვა მოსამსახურეს მიეცა სამთვიანი სპეციალური შვებულება, რადგან მისი შვილი დედის მზრუნველობის გარეშე დარჩა. ხელისუფლება აგრეთვე მიუთითებდა 21 შემთხვევაზე, როდესაც სამწლიანი ბავშვის მოვლის შვებულება მიეცათ მამაკაც პოლიციის ოფიცრებს. ამდენად სამხედრო მოსამსახურეებისთვის შვებულების მიცემის მთავარი კრიტერიუმი მდგომარეობდა, იმაში დარჩნენ თუ არა შვილები დედის მზრუნველობის გარეშე. თუმცაღა დედის მზრუნველობის გარეშე დარჩენის ფაქტს დამტკიცება ჭირდება. რადგან განმცხადებელმა ვერ შეძლო დაემტკიცებინა, რომ მისი შვილები მოკლებულნი იყვნენ დედის მზრუნველობას, მას უარი ეთქვა ბავშვის მოვლის შვებულების განცხადებაზე.

118. საბოლოოდ, მოპასუხე სახემწიფომ განაცხადა, რომ პალატა გასცდა თავისი კონპეტენციის ფარგლებს, როდესაც კონვენციის 46-ე მუხლის თანახმად მოითხოვა, რომ რუსეთის ხელისუფლებას უნდა შეეცვალა შესაბამისი კანონმდებლობა. მათი აზრით ეს იყო ერთი საქმე, რომელიც არ წარმოაჩენდა რაიმე სისტემურ პრობლემას კონვენციის სისტემისთვის. სასამართლოს ამოცანას არ წარმოადგენდა აბსტრაქტულად იმის შეფასება, რამდენად შეესაბამება შიდა კანონმდებლობა კონვენციას, თავი რომ გავანებოთ განმცხადებლის მიერ სადავოდ გახდილი დებულებების გაუქმებას ან მითითებას გაუქმების შესახებ.

#### *4. მესამე მხარის არგუმენტები*

119. გენტის უნივერსიტეტის ადამიანის უფლებების ცენტრმა დაგმო გენდერული სტერეოტიპების საფრთხე. ამგვარი სტერეოტიპები ზღუდავენ ინდივიდის არჩევანს ცხოვრებაში და ახანგრძლივებენ გენდერული უთანასწორობის და სუბორდინაციის შენარჩუნებას. იმავდროულად ისინი წარმოადგენენ მიზეზსაც და დისკრიმინაციული მოპყრობის გამოვლინებასაც. უფრო კონკრეტულად ქალების და კაცების

შესახებ სტერეოტიპები და მათი ჩაკეტვა ტრადიციულ გენდერულ როლებში იწვევს თანადგომის ნაკლებობას იმ ადამიანების მიმართ, ეს ეხებათ ქალებსაც და კაცებსაც, რომლებიც არ ასრულებენ ტრადიციულ როლებს. თანადგომის ამგვარი ნაკლებობა შეიძლება გამოვლინდეს მაგალითად, სოციალურ დახმარებაზე უარის თქმაში. გენდერული სტერეოტიპები მოყავთ აგრეთვე ქალებისა და მამაკაცების განსხვავებული მოპყრობის გასამართლებლად, თუმცადა სასამართლომ არაერთხელ აღნიშნა, რომ ცრურწმენები და სტერეოტიპები არ არის საკმარისი დისკრიმინაციული მოპყრობის გასამართლებლად (იხ. ზარბ ადამი მალტის წინააღმდეგ (*Zarb Adami v. Malta*), # 17209/02, §§ 81 და 82, ECHR 2006-VIII; ლ. და ვ. ავსტრიის წინააღმდეგ (*L. and V. v. Austria*), #39392/98 და 39829/98, §52, ECHR 2003-I, დალუსტიგ-პრენი და ბეკეტი, (ციტირებულია ზემოთ), § 90 და ინზე ავსტრიის წინააღმდეგ (*Inze v. Austria*), 28 ოქტომბერი, 1987, § 44, სერია ა, # 126). ორი სტერეოტიპი, რომელსაც ეყრდნობა განსახილველი საქმე პირველ რიგში არის ტრადიციული იდეა, რომ ქალები არიან პასუხისმგებლები სახლსა და ბავშვებზე, კაცები კი შოულობენ ფულს სახლის გარეთ, და მეორე, რომ ბრძოლა და სამხედრო სამსახური არის მამაკაცებისთვის და არა ქალებისთვის.

120. მესამე მხარე, მიუთითებდა აგრეთვე ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციაზე, კერძოდ მის მეხუთე მუხლზე (იხილეთ ზემოთ, § 49), რომელიც აკისრებს ვალდებულებას ხელშემკვრელ სახელმწიფოებს იმოქმედონ გენდერული სტერეოტიპების წინააღმდეგ ქალებისა და კაცების ქცევის სოციალური და კულტურული მოდელების შეცვლის გზით, რათა მიაღწიონ ცრურწმენების, ჩვეულებების და ყოველგვარი პრაქტიკის აღმოფხვრა, რომელიც ეფუძნებოდა რომელიმე სქესის აღმატებულობის ან დაკნინების იდეას და ქალებისა და მამაკაცების სტერეოტიპულ როლებს. მესამე მხარე ამტკიცებდა, რომ წინამდებარე საქმე ეხებოდა მამაკაცების წინააღმდეგ დისკრიმინაციას, ქალების წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია მაინც რელევანტური იყო, რადგან ქალების წინააღმდეგ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი განმარტავს მას ისე, რომ კონვენცია ვრცელდება ყველა ადამიანზე სქესის მიუხედავად. გარდა ამისა, კაცების წინააღმდეგ არსებული სტერეოტიპები საზიანოა არამარტო კაცებისთვის,

არამედ ქალებისთვისაც. გენდერულ როლებთან დაკავშირებული სტერეოტიპები კეტავენ ქალებს სახლებში და კაცებს მის გარეთ და ამგავრად ორივე სქესს არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებენ. ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი ხაზს უსვამს, რომ წმინდა ფორმალურ თანასწორობაზე მეტის მიღწევას საჭირო და ილწვის დისკრიმინაციის სტრუქტურული მიზეზების წინააღმდეგ. გენდერული სტერეოტიპი, კერძოდ, ღრმად ფესვებ გადგმული „ქალი - აღმზდელი/კაცი - პურის შემომტანი“ სტერეოტიპი ერთერთი მათგანია.

121. მესამე მხარემ აგრეთვე მოიშველია დასკვნითი მოსაზრებები რუსეთის ფედერაციის მიერ წარდგენილ პერიოდულ მოხსენებაზე, რომელიც ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტმა მიიღო 2010 წლის 30 ივლისს (იხილეთ ზემოთ, § 51). კერძოდ, ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი აცხადებდა, რომ ის იყო შეშფოთებული იმ პრაქტიკის, ტრადიციების, პატრიარქალური დამოკიდებულების და ღრმად ფესვადგმული სტერეოტიპების შენარჩუნებით, რომელიც ეხება ცხოვრების ყველა სფეროში ქალისა და მამაკაცის როლებს, პასუხისმგებლობებსა და იდენტობას და წევრი სახელმწიფოს სისტემატურ ხაზგასმას ქალის, როგორც დედისა და აღმზრდელის როლზე. კომიტეტის მოსაზრებით “ყურადღების გადატანა ქალიდან, როგორც დედიდან და ცოლიდან ინდივიდზე და საზოგადოებაში მამაკაცის თანასწორუაუცილებელი იყო კონვენციის სრული იმპლემენტაციისთვის და ქალსა და მამაკაცს შორის თანასწორობის მიღწევისთვის.”

122. ბოლოს, მესამე მხარემ აღნიშნა, რომ წინამდებარე საქმე ეხებოდა ე.წ ურთიერთგადაძვეთ დისკრიმინაციას, ანუ დისკრიმინაციას, რომელიც რამდენიმე საფუძველზე ხორციელდება, იმ პირობებში, როდესაც ეს საფუძველები ერთმანეთთან დაკავშირებულია და ქმნის დისკრიმინაციის განსაკუთრებულ ტიპებს. მათი აზრით განსხვავებული მოპყრობა, რომელზეც ჩიოდა განმცხადებელი ვერ იქნება დაყვანილი მხოლოდ სამხედრო წოდებამდე ან სქესამდე. ის წარმოადგენს ამ ორი საფუძვლის კომბინაციის შედეგს. თუ სქესის საფუძველზე დისკრიმინაცია და სამხედრო სტატუსის საფუძველზე დისკრიმინაცია გაანალიზდება ცალ-ცალკე, სამხედრო მოსამსახურე ქალებთან დაკავშირებული სტერეოტიპები უკანა პლანზე გადაინაცვლებს. თუ შედარების ერთი ხაზი შეეხება

ქალებს და კაცებს ზოგადად და მეორე რიგი შეეხება სამხედრო და სამოქალაქო პირებს, ამ განტოლებებში ჩვენ ვერ დავინახავთ სამხედრო მოსამსახურეებთან და მითუმეტეს ქალ სამხედრო მოსამსახურეებთან დაკავშირებულ პრობლემებს.

123. დასკვნის სახით მესამე მხარემ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი იყო გენდერული სტერეოტიპების იდენტიფიცირება და ამ ზიანის აღიარება. სახელმწიფოებმა პასუხი უნდა აგონ, როდესაც ისინი ეწევიან დისკრიმინაციას სქესის საფუძველზე და ახანგრძლივებენ სქესობრივ უთანასწორობას გენდერული სტერეოტიპების მეშვეობით.

### 5. სასამართლოს შეფასება

#### ა. ზოგადი პრინციპები

124. სასამართლო თანმიმდევრულია იმ მიდგომასთან დაკავშირებით, რომ მე-14 მუხლი ავსებს კონვენციისა და მისი ოქმების სხვა მატერიალურ-სამართლებრივ დებულებებს. ის არ არის დამოუკიდებელი, რადგან მას აქვს რეგულაციის ძალა მხოლოდ კონვენციასა და მის ოქმებში გარანტირებული „სხვა უფლებებითა და თავისუფლებებით“ სარგებლობასთან დაკავშირებით. მე-14 მუხლის გამოყენება არ საჭიროებს სხვა მუხლების დარღვევის არსებობას - და ამ მხრივ ის ავტონომიურია; მიუხედავად ამისა, მისი გამოყენების შესაძლებლობა არ რჩება, თუ საქმის ფაქტები არ ხვდება, რომელიმე სხვა მუხლის მოქმედების სფეროში. შესაბამისად, დისკრიმინაციის აკრძალვა, რაც მოცემულია მე-14 მუხლში სცდება უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობას, რაც სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ კონვენციის და მისი ოქმების თანახმად. ის აგრეთვე ვრცელდება დამატებით უფლებებზე, რაც ზოგადად ხვდება კონვენციის მუხლის მოქმედების ფარგლებში, რისი უზრუნველყოფაც სახელმწიფოებმა თავიანთი კეთილი ნების საფუძველზე გადაწყვიტეს. ეს პრინციპი კარგად არის გამჟღავნებული სასამართლოს პრაქტიკაში (სხვა რელევანტურ გადაწყვეტილებებთან ერთად, იხ. ი.ბ. საფრანგეთის წინააღმდეგ (*E.B. v. France*) [დიდი პალატა], # 43546/02, §§ 47-48, 22 იანვარი, 2008))

125. სასამართლომ აგრეთვე აღნიშნა, რომ ყველა განსხვავებული მოპყრობა არ წარმოადგენს მე-14 მუხლის

დარღვევას. საჭიროა დადგინდეს, რომ სხვა პირები რომლებიც ანალოგიურ ან რელევანტურად მსგავს სიტუაციაში იმყოფებიან, სარგებლობენ უკეთესი მოპყრობით და რომ ეს განსხვავება დისკრიმინაციულია (იხ. *იუნალ ტეკელი თურქეთის წინააღმდეგ (Ünal Tekeli v. Turkey)*, # 29865/96, § 49, ECHR 2004-X). განსხვავებული მოპყრობა მაშინ არის დისკრიმინაციული, თუ მას არ გააჩნია ობიექტური და გონივრული გამართლება, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ მას არ აქვს ლეგიტიმური მიზანი და არ არსებობს გონივრული პროპორციულობის მიმართება გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზნებს შორის (იხ. სტეკის და სხვების საქმე, ციტირებულია ზემოთ, § 51).

126. ხელშემკვრელი სახელმწიფოებს გააჩნიათ გარკვეული თავისუფალი შეფასების ფარგლები, იმის გადასაწყვეტად მსგავს სიტუაციებში გამოკვეთილი განსხვავებები ამართლებენ თუ არა განსხვავებულ მოპყრობას (იხ. *გაიგუსუზი ავსტრიის წინააღმდეგ (Gaygusuz v. Austria)*, 16 სექტემბერი 1996, § 42, *Reports* 1996-IV). შეფასების ფარგლები იცვლება საქმის გარემოებების, საგნისა და კონტექსტის მიხედვით (იხ. *რასმუსენი დანიის წინააღმდეგ (Rasmussen v. Denmark)*, 28 ნოემბერი 1984, § 40, *Series A*, #87, და *ინზეს საქმე*, ციტირებულია ზემოთ, § 41), თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება კონვენციის მოთხოვნების შესრულებასთან დაკავშირებით სასამართლოს მისაღებია. რადგან კონვენცია პირველ რიგში და არსებითად ადამიანის უფლებების დაცვის სისტემაა, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ხელშემკვრელ სახელმწიფოებში პირობების ცვლა და უნდა უპასუხოს მათ, მაგალითად, ჩამოყალიბების პროცესში მყოფ კონსენსუსს მისაღწევ სტანდარტებთან დაკავშირებით (იხ. *ველერი უნგრეთის წინააღმდეგ (Weller v. Hungary)*, # 44399/05, § 28, 31 მარტი, 2009; *სტეკი და სხვების საქმე*, ციტირებულია ზემოთ, §§ 63 და 64; *იუნალ ტეკელის საქმე*, ციტირებულია ზემოთ, § 54; და, *mutatis mutandis*, *სტეფორდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Stafford v. the United Kingdom)* [დიდი პალატა], # 46295/99, § 68, ECHR 2002-IV).

127. სასამართლო კიდევ ერთხელ აცხადებს, რომ გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა არის დღესდღეობით უდიდესი მიზანი ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში და ძალიან წონიანი მიზეზების მოყვანაა საჭირო იმისთვის, რომ ამ საკითხზე განსხვავებული მოპყრობა კონვენციის შესაბამისად ჩაითვალოს

(იხ. ბურგარტზი შვეიცარიის წინააღმდეგ (*Burghartz v. Switzerland*), 22 თებერვალი 1994, § 27, სერია ა, #280-B, და შულერ-ზგრეგენი შვეიცარიის წინააღმდეგ (*Schuler-Zgraggen v. Switzerland*), 24 ივნისი 1993, § 67, სერია ა, #263). კერძოდ, კონკრეტული ქვეყნის ტრადიციების, ზოგადი შეხედულებების ან გაბატონებული სოციალური მიდგომების მოშველიება არასაკმარისი გამართლებაა სქესის საფუძველზე განხორციელებული განსხვავებული მოპყრობისთვის. მაგალითად, სახელმწიფოებს არ შეუძლიათ იმ ტრადიციების აღსრულება, რომლებიც ეფუძნება მამაკაცის პირველად როლს და ქალის მეორეხარისხოვან როლს ოჯახში (იხ. იუნალ ტეკელის საქმე, ციტირებულია ზემოთ, § 63).

128. რაც შეეხება შეიარაღებული ძალების განსაკუთრებულ სფეროს, სასამართლო აღნიშნავს, რომ კონვენციის მომზადებისა და შემდგომში მისი მიღებისას, ხელშემკვრელი სახელმწიფოების უდიდესი უმრავლესობა ფლობდა შეიარაღებულ ძალებს და შესაბამისად არსებობდა სამხედრო დისციპლინის სისტემა, რომელიც თავისი ბუნებიდან გამომდინარე გულისხმობს შესაძლებლობას, რომ ამ ძალების თანამშრომლების ზოგიერთი უფლება და თავისუფლება შეიზღუდება ისე, როგორც არ შეიძლება შეიზღუდოს სამოქალაქო პირის უფლება. ამგარი სისტემის არსებობა, რომელიც ზოგიერთმა სახელმწიფომ დღემდე შეინარჩუნა, თავისთავად არ ეწინააღმდეგება მათ, კონვენციით გათვალისწინებულ მოვალეობებს (იხ. ენგელი და სხვები, ციტირებულია ზემოთ, § 57). აქედან გამომდინარე ყველა სახელმწიფოს აქვს უფლებამოსილება საკუთარი სამხედრო დისციპლინის სისტემის ორგანიზებისათვის და ამ მხრივ მათ გააჩნიათ თვისუფალი შეფასების ფარგლები. არმიის ჯეროვანი ფუნქციონირება ძნელად წარმოსადგენია სამართლებრივი წესების გარეშე, რომელთა მიზანია აღკვეთონ სამხედრო შემადგენლობის მიერ დისციპლინის დარღვევა. თუმცადა ეროვნული ხელისუფლება ვერ დაეყრდნობა ამ წესებს, რათა უარი უთხრან შეიარაღებული ძალების ინდივიდუალ წევრებს მათ, პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაზე; ეს უფლება კი ვრცელდება სამხედრო მოსამსახურეებზე, ისევე როგორც ნებისმიერ პირებზე, ვინც სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში ხვდება. (იხ. სმიტი და გრეიდის საქმე, (*Smith and Grady*) ციტირებულია ზემოთ, § 89, და ლუსტიგ-პრენი და ბეკეტის საქმე (*Lustig-Prean and Beckett*), ციტირება მაღლა, § 82)



**ბ. აღნიშნული პრინციპების გამოყენება წინამდებარე საქმეში**

(i). შეიძლება თუ არა მოთხოვნის მე-14 მუხლზე დაფუძნება მე-8 მუხლთან მიმართებით

129. სასამართლომ უნდა განსაზღვროს დასაწყისში, საქმის გარემოებები ხვდება თუ არა კონვენციის მე-8 მუხლის და შესაბამისად მე-14 მუხლის მოქმედების სფეროშიც. ის სისტემატურად აცხადებს, რომ კონვენციის მე-14 მუხლის გამოყენება სწორია, თუ „შექმნილი დაბრკოლების საგანს... წარმოადგენს გარანტირებული უფლებების განხორციელების რაიმე ფორმა...“, ან თუ სადავო ზომები „დაკავშირებულია გარანტირებული უფლებების განხორციელებასთან...“ მე-14 მუხლის გამოყენებისთვის საკმარისია, რომ საქმის გარემოებები ხვდება კონვენციის ერთი ან მეტი დებულებების ფარგლებში (იხ. თლიმენოსი საბერძნეთის წინააღმდეგ (*Thlimmenos v. Greece*), [დიდი პალატა], # 34369/97, § 40, ECHR 2000-IV; ი.ბ. საფრანგეთის წინააღმდეგ, ციტირებულია ზემოთ, §§ 47-48; და ფრეტე საფრანგეთის წინააღმდეგ (*Fretté v. France*), # 36515/97, § 31, ECHR 2002-I, დამატებითი წყაროების მითითებით).

130. მართლაც, მე-8 მუხლი არ ადგენს ბავშვის მოვლის შვებულების უფლებას და არ აკისრებს პოზიტიურ მოვალეობას წევრ სახელმწიფოებს, რომ გასცენ ბავშვის მოვლის შვებულების დახმარება. იმავდროულად ერთ-ერთი მშობლისთვის შესაძლებლობის მიცემა, რომ შინ დარჩეს და იზრუნოს ბავშვებზე, რასაც წარმოადგენს ბავშვის მოვლის შვებულება და მასთან დაკავშირებული დახმარება, ხელს უწყობს ოჯახურ ცხოვრებას და გარდაუვალია მისი ეფექტი ოჯახური ცხოვრების ორგანიზებაზე. ბავშვის მოვლის შვებულება და ბავშვის მოვლის დახმარება შესაბამისად ხვდება კონვენციის მე-8 მუხლის მოქმედების სფეროში. აქედან გამომდინარეობს, რომ მე-14 მუხლი მე-8 მუხლთან მიმართებით შეიძლება იქნეს გამოყენებული. შესაბამისად, თუ სახელმწიფო გადაწყვეტს შექმნას ბავშვის მოვლის შვებულების სისტემა, ეს ისე უნდა გააკეთოს რომ დაიცვას კონვენციის მე-14 მუხლის მოთხოვნები (პეტროვიჩის საქმე, ციტირებულია ზემოთ, §§ 26-29).

(ii) დაირღვა თუ არა მე-14 მუხლი მე-8 მუხლთან მიმართებით

131. სასამართლომ გაარკვია, რომ განმცხადებელს, რომელიც იყო მამაკაცი სამხედრო მოსამსახურე, არ გააჩნდა ბავშვის მოვლის სამწლიანი შვებულების უფლება კანონმდებლობის საფუძველზე, მაშინ როდესაც ქალ სამხედრო მოსამსახურეებს შეეძლოთ აღნიშნული შვებულებით სარგებლობა. შესაბამისად პირველ რიგში საჭიროა მსჯელობა, განმცხადებელი იყო თუ არა ქალი სამხედრო მოსამსახურეების ანალოგიურ მდგომარეობაში.

132. სასამართლომ უკვე დაადგინა, რომ როდესაც საქმე ეხება ბავშვის მოვლის შვებულებას და ბავშვის მოვლის შვებულების დროს დახმარების მიღებას, კაცები და ქალები ანალოგიური მდგომარეობაში იმყოფებიან. მართლაც, მშობიარობის შვებულებისგან განსხვავებით, რომელიც მიზნად ისახავს ქალებისთვის საშუალების მიცემას, რომ მშობიარობის შემდეგ ძალები აღიდგინონ და მათი სურვილის შემთხვევაში ბავშვი მკერდით კვებონ, ბავშვის მოვლის შვებულება და მასთან დაკავშირებული დახმარება მოიცავს შემდეგ პერიოდს და მიზნად ისახავს რომ მშობელს, რომელსაც სურს სახლში დარჩენა საშუალება ქონდეს პირადად იზრუნოს ბავშვზე (იხ. პეტროვიჩის საქმე, ციტირებულია ზემოთ, §§ 26-29). სასამართლო ითვალისწინებს იმ განსხვავებებს, რაც არსებობს დედის და მამის ურთიერთობაში ბავშვთან, მაგრამ მაინც მიიჩნევს, რომ იმ პერიოდის განმავლობაში, რასაც მოიცავს ბავშვის მოვლის შვებულება, ბავშვზე ზრუნვის როლის თვალსაზრისით ქალები და კაცები თანაბარ მდგომარეობაში არიან.

133. ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ ბავშვის მოვლის შვებულების მიზნებისთვის, მამაკაცი სამხედრო მოსამსახურე ანალოგიურ მდგომარეობაშია ქალ სამხედრო მოსამსახურესთან. გასარკვევია მხოლოდ ქალი და მამაკაცი სამხედრო მოსამსახურეების განსხვავებული მოპყრობა ობიექტურად და გონივრულად თუ არის გამართლებული მე-14 მუხლის მიზნებისთვის.

134. სასამართლოს არ ავიწყდება შეიარაღებული ძალების განსაკუთრებული კონტექსტი წინამდებარე საქმეში. ის განსაკუთრებულია იმ მხრივ, რომ მჭიდროდ არის დაკავშირებული ერის უსაფრთხოებასთან და შესაბამისად ცენტრალური საკითხია სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესების დაცვისთვის. ფართო თავისუფალი შეფასების ფარგლები აქვს სახელმწიფოს იმ საკითხებში, რაც უკავშირდება ეროვნულ

უშიშროებას ზოგადად და შეიარაღებულ ძალებს კონკრეტულად (იხ. სასამართლო პრაქტიკა, რომელიც განხილულია 128-ე პარაგრაფში ზემოთ).

135. სასამართლომ არაერთხელ აღნიშნა, რომ სამხედრო შემადგენლობის უფლებები, რაც გათვალისწინებულია კონვენციის მე-5, მე-9, მე-10 და მე-11 მუხლებში შეიძლება გარკვეულ გარემოებებში შეიზღუდოს უფრო მეტად, ვიდრე დასაშვები იქნებოდა სამოქალაქო პირების შემთხვევაში. ამდენად, მე-5 მუხლთან მიმართებით მე-14 მუხლზე მსჯელობისას, სასამართლომ დაადგინა, რომ თავისუფლების შეზღუდვა როგორც დისციპლინური სანქცია, შეიძლება გამოყენებული იქნეს სამხედრო პერსონალის მიმართ, მაგრამ არა სამოქალაქო პირების მიმართ და ეს არ იწვევს დისკრიმინაციას კონვენციის მიზნებისთვის, რადგან სამხედრო ცხოვრების პირობები და მოთხოვნები თავისი ბუნებით განსხვავდება სამოქალაქო სექტორისგან (იხ. ენგელისა და სხვების საქმე, ციტირებულია ზემოთ, § 73). გარდა ამისა მე-9 მუხლთან დაკავშირებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ რელიგიით განპირობებული ზოგიერთი ქცევისა და მიდგომების შეზღუდვა, მართალია არ შეიძლება გამოყენებული იქნეს სამოქალაქო პირის მიმართ, მაგრამ მისაღებია არმიაში. როდესაც პირი ირჩევს სამხედრო კარიერას, შეიარაღებული ძალების წევრი თავისი ნებით შედის სამხედრო დისციპლინის სისტემაში და იღებს მას მასში ნაგულისხმევი, უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვებით (იხ. კალაჩის საქმე, ციტირებულია ზემოთ, § 28, და ლარისისი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ (*Larissis and Others v. Greece*), 24 თებერვალი 1998, §§ 50-51, *Reports* 1998-I, არმიაში პროზელიტიზმთან დაკავშირებით). მსგავსად ამისა, მე-10 მუხლთან დაკავშირებული საქმის განხილვისას, სასამართლომ დაადგინა, რომ აუცილებელია სამხედრო ცხოვრებასთან დაკავშირებული სპეციალური გარემოებების და განსაკუთრებული მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების გათვალისწინება, რაც ეკისრება სამხედრო პერსონალს, როგორც შეიარაღებული ძალების წევრებს, რომლებიც შებოჭილნი არიან თავშეკავებულობის ვალდებულებით ყველაფერთან დაკავშირებით, რაც ეხება მათი მოვალეობების შესრულებას (იხ. ჰადჯიანასტასიუ საქმე, ციტირებულია ზემოთ, § 39 და 46, სერია ა, # 252 და პასკო რუსეთის წინააღმდეგ (*Pasko v.*

*Russia*), # 69519/01, § 86, 22 ოქტომბერი 2009, ორივე საქმე ეხება სამხედრო მოსამსახურეების მიერ მათთვის განდობილი კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებას). სასამართლომ აგრეთვე დაადგინა, რომ გამოხატვის თავისუფლების სფეროში განსხვავების დადგენა სამხედრო და სამოქალაქო პირებს შორის გამართლებულია მე-14 მუხლისთვის, იმ განსხვავებების გამო რაც არსებობს სამხედრო და სამოქალაქო წესრიგის პირობებს შორის და უფრო კონკრეტულად იმ მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების გამო, რაც შეიარაღებული ძალების წევრებს ეკისრებათ (იხ. ენგელისა და სხვების საქმე, ციტირებულია ზემოთ, § 103). საბოლოოდ უნდა აღინიშნოს, რომ მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი ერთმნიშვნელოვნად აცხადებს, რომ კანონიერი შეზღუდვების დაკისრება დასაშვებია შეიარაღებული ძალების წევრების მიერ შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების რეალიზებაზე (იხ. დემირ და ბაიქარა თურქეთის წინააღმდეგ (*Demir and Baykara v. Turkey*)[დიდი პალატა], #34503/97, § 119, ECHR 2008).

136. იმავედროულად სასამართლო აგრეთვე ხაზს უსვამს, რომ კონვენციის მოქმედება არ წყდება სამხედრო ნაწილებთან და სამხედრო პერსონალი, ისევე როგორც ყველა პირი ხელშემკვრელი სახელმწიფოს იურისდიქციის ფაგლებში იმსახურებს კონვენციის დაცვას. შესაბამისად ეროვნული ხელისუფლების ორგანოებს არ აქვთ უფლებამოსილება, რომ შეიარაღებული ძალების განსაკუთრებული სტატუსის გამოყენებით სამხედრო პერსონალის უფლებები დააკნინონ. კონვენციის უფლების ნებისმიერ შეზღუდვა, იმისთვის რომ გამართლებული იყოს, უნდა აკმაყოფილებდეს დემოკრატიულ საზოგადოებაში საჭიროების ტესტს (მე-10 მუხლთან დაკავშირებით იხილეთ გრიგორიადისი საბერძნეთის წინააღმდეგ (*Grigoriades v. Greece*), 25 ნოემბერი 1997, §§ 45-48, *Reports* 1997-VII, და „ფერაინიგუნგ დემოკრატიშე ზოლდატენ ოსტერაიხს“ და გუბი ავსტრიის წინააღმდეგ, (*Vereinigung demokratischer Soldaten Österreichs and Gubi v. Austria*), 19 დეკემბერი 1994, §§ 36-40, სერია ა, #302 ).

137. დამატებით სამხედრო პერსონალის ოჯახური და პირადი ცხოვრების შეზღუდვასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით იმ ნაწილში, რომელიც „ინდივიდის პირადი ცხოვრების ყველაზე ინტიმურ ნაწილს წარმოადგენს“, უნდა არსებობდეს განსაკუთრებულად სერიოზული მიზეზები იმისთვის, რომ ჩარევა აკმაყოფილებდეს კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის

მოთხოვნებს. კერძოდ, უნდა არსებობდეს გონივრული პროპორციულობის მიმართება დაკისრებულ შეზღუდვასა და ეროვნული უშიშროების დაცვის ლეგიტიმურ მიზანს შორის. ამგვარი შეზღუდვა მისაღებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც რეალური საფრთხე ემუქრება შეიარაღებული ძალების ოპერატიულ ეფექტურობას. იმის მტკიცება, რომ ოპერატიული ეფექტურობის თვალსაზრისით არსებობს რისკი „გამყარებული უნდა იყოს კონკრეტული მაგალითებით“ (იხ. სმიტის და გრეიდის საქმე, ციტირებულია ზემოთ, § 89, და ლუსტიგ-პრენის და ბეკეტის საქმე, ციტირებულია ზემოთ, § 82).

138. უშუალოდ წინამდებარე საქმის გარემოებებთან დაკავშირებით სასამართლო აღნიშნავს, რომ მოპასუხე სახელმწიფო იშველიებდა რამდენიმე არგუმენტს რათა გაემართლებინა ქალი და მამაკაცი სამხედრო მოსამსახურეების მიმართ განსხვავებული მოპყრობა ბავშვის მოვლის შვებულებასთან დაკავშირებით. სასამართლო ყველა მათგანს სათითაოდ შეაფასებს.

139. პირველ რიგში, რაც შეეხება არგუმენტს, რომელიც დაკავშირებულია ბავშვების აღზრდაში ქალების განსაკუთრებულ როლთან, სასამართლო აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ პეტროვიჩის საქმეში (ციტირებულია ზემოთ), მან გაამახვილა ყურადღება თანდათანობით განხორციელებულ საზოგადოებრივ ევოლუციაზე, რომელიც მიმართულია ბავშვების აღზრდაში ქალების და მამაკაცების პასუხისმგებლობების უფრო თანაბარი გადანაწილებისკენ. აღნიშნულ საქმეში სასამართლომ არ დაადგინა, რომ სქესზე დაფუძნებული განსხვავება ბავშვის მოვლის შვებულების პერიოდში მისაღებ დახმარებასთან დაკავშირებით, რომელიც არსებობდა ავსტრიაში მე-20 საუკუნის 80-იან წლებში, არღვევდა მე-14 მუხლს მე-8 მუხლთან მიმართებით. კერძოდ, მან გაითვალისწინა შესაბამის მომენტში არსებული დიდი განსხვავება ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შორის მშობლებისთვის განკუთვნილ დახმარებებთან დაკავშირებით. იმავე დროს, სასამართლომ კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ავსტრიამ შეცვალა კანონმდებლობა 1990 წელს, ისე რომ ბავშვის მოვლის შვებულების პერიოდში მისაღები დახმარების სუბიექტები გახდნენ მამებიც. ავსტრიის ხელისუფლების გაკრიტიკება არ იყო შესაძლებელი იმის გამო, რომ მათ თანდათანობით მიიღეს კანონმდებლობა, რომელიც ასახავდა

ამ სფეროში საზოგადოებაში მომხდარ ევოლუციას და და ძალიან პროგრესული იყო ევროპაში იმ დროს (იხ. პეტროვიჩის საქმე (*Petrovic*), ციტირებულია ზემოთ, §§ 39-43). უფრო ახალ, ველერის საქმეში, სასამართლომ დაადგინა რომ მშობლის დახმარების მიმღებთა სიიდან ბიოლოგიური მამის გამოტოვება, მაშინ როდესაც დედას, მშვილებელსა და მეურვეს ქონდათ ამის უფლება წარმოადგენდა დისკრიმინაციას მშობლის სტატუსის საფუძველზე (იხ. ველერი, ციტირებულია ზემოთ, §§ 30-35).

140. შესაბამისი საერთაშორისო და შედარებით სამართლებრივი ინფორმაცია (მოყვანილია ზემოთ, 49-75 პარაგრაფებში,) აჩვენებს, რომ საზოგადოების ევოლუცია - რომელიც მე-20 საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო, როგორც ეს აღნიშნულია პეტროვიჩის საქმეში - მნიშვნელოვნად წინ წავიდა. მასალები აჩვენებს, რომ ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში, მათ შორის თავად რუსეთშიც, კანონმდებლობა ითვალისწინებს ბავშვის მოვლის შევებულების აღების შესაძლებლობას, როგორც ქალი, ასევე მამაკაცი სამოქალაქო მოსამსახურეებისთვის, მაშინ როდესაც ქვეყნები, სადაც მხოლოდ ქალებს ეძლევათ ბავშვის მოვლის შევებულების უფლება წარმოადგენენ სრულ უმცირესობას (იხ. პარაგრაფი 72 ზემოთ). წინამდებარე საქმისთვის კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მრავალ წევრ სახელმწიფოში ქალი და მამაკაცი სამხედრო მოსამსახურეებიც წარმოადგენენ ბავშვის მოვლის შევებულების უფლების სუბიექტებს (იხ. ზემოთ, პარაგრაფი 74). აქედან გამომდინარეობს, რომ თანამედროვე ევროპული საზოგადოება წინ წავიდა ბავშვის აღზრდაში ქალსა და მამაკაცს შორის პასუხისმგებლობების გაყოფის უფრო თანაბარი გადანაწილებისკენ და მამაკაცის, როგორც მზრუნველის როლმა აღიარება მოიპოვა. სასამართლო ვერ მოახდენს იმის იგნორირებას, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით საყოველთაოდ და თანმიმდევრულად ვითარდება აზრი და შესაბამისად ხორციელდება სამართლებრივი ცვლილება ხელშემკვრელი სახელმწიფოების ეროვნულ სამართალში (იხ., *mutatis mutandis*, სმიტის და გრეიდის საქმე, ციტირებულია ზემოთ, § 104).

141. დამატებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ მთავრობის მიერ პოზიტიურ დისკრიმინაციაზე საუბარი არასწორ გაგებას ეფუძნება. ქალი და მამაკაცი სამხედრო მოსამსახურეების მიმართ განსხვავებული მოპყრობის არსებობა ბავშვის მოვლის შევებულების უფლებასთან დაკავშირებით ამკარად არ არის მიმართული

საზოგადოებაში ქალების არახელსაყრელი მდგომარეობების და არც ქალებსა და მამაკაცებს შორის „ფაქტობრივი უთანასწორობის“ გამოსწორებისკენ (განსხვავებით სტეკის და სხვების საქმისგან, ციტირება მაღლა, §§ 61 და 66). სასამართლო ეთანხმება განმცხადებელს და მესამე მხარეს იმაში, რომ ამგვარი განსხვავება გენდერული სტერეოტიპის არსებობის გახანგრძლივებას იწვევს და დაბრკოლებებს უქმნის როგორც ქალების კარიერას, ასევე მამაკაცების ოჯახურ ცხოვრებას.

142. მსგავსად ამისა, განსხვავებული მოპყრობა ვერ იქნება გამართლებული ზოგიერთ ქვეყანაში გაბატონებული ტრადიციების მოშველიებით. სასამართლომ უკვე დაადგინა, რომ სახელმწიფოები არ არიან უფლებამოსილნი ტრადიციული გენდერული როლები და გენდერული სტერეოტიპები დააწესონ (იხ. სასამართლო პრაქტიკა, რაც ციტირებულია ზემოთ, პარაგრაფი 127). მეტიც, იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთის სამართლის მიხედვით როგორც ქალი, ასევე მამაკაცი სამოქალაქო მოსამსახურეები არიან უფლებამოსილნი მიიღონ ბავშვის მოვლის შვებულება და ოჯახის ასარჩევია, თუ რომელი მშობელი აიღებს შვებულებას ახალდაბადებულ ბავშვზე ზრუნვისთვის, სასამართლოსთვის დამაჯერებელი არ არის იმის მტკიცება, რომ რუსული საზოგადოება არ არის მზად მსგავსი თანასწორობა მიიღოს შეიარაღებულ ძალებში დასაქმებულ ქალებსა და მამაკაცებს შორისაც.

143. სასამართლო ასკვნის ზემოთქმულიდან, რომ საზოგადოებაში არსებულ, გენდერული როლების ტრადიციულ გადანაწილებაზე მითითება ვერ გაამართლებს მამაკაცებისთვის, მათ შორის სამხედრო მოსამსახურე მამაკაცებისთვის ბავშვის მოვლის შვებულების უფლების ჩამორთმევას. სასამართლო ეთანხმება პალატას, რომ გენდერული სტერეოტიპები, როგორცაა ქალების აღქმა პირველ რიგში ბავშვების მომვლელებად და მამაკაცებისა - უპირატესად ოჯახის მარჩენალებად თავისთავად ვერ იქნება განხილული, როგორც საკმარისი გამართლება განსხვავებული მოპყრობისთვის. ისინი ისევე არ გამოდგება, როგორც სხვა მსგავსი სტერეოტიპები რასასთან, წარმოშობასთან, ფერთან ან სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებით.

144. სასამართლომ ვერც მთავრობის მეორე არგუმენტი მიიჩნია დამაჯერებლად. აღნიშნული არგუმენტის თანახმად, მამაკაცი სამხედრო მოსამსახურეებისთვის ბავშვის მოვლის შვებულების

გახანგრძლივება უარყოფით შედეგს იქონიებს შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობასა და ოპერატიულ ეფექტურობაზე, მაშინ როცა ქალი სამხედრო მოსამსახურეებისთვის იგივე შვებულების მიცემას ასეთი რისკი არ ახლავს თან, რადგან შეიარაღებულ ძალებში ქალები უფრო მცირე ოდენობით არიან, ვიდრე მამაკაცები. არ ჩანს რაიმე ექსპერტების მიერ ჩატარებული კვლევა ან სტატისკური კვლევა, რომელიც რუსეთის ხელისუფლებამ გააკეთა, რათა შეეფასებინა, რამდენ მოსამსახურე მამაკაცს აქვს სათანადო პირობები, ბავშვის მოვლის სამ-წლიანი შვებულების ასაღებად ნებისმიერ მომენტში და რამდენს ექნება სურვილი ასე მოიქცეს და შემდეგ მის საფუძველზე განესაზღვრა, როგორ ეფექტს მოახდენდა ეს არმიის ოპერატიულ ეფექტურობაზე. სასამართლოს აზრით, მხოლოდ ის ფაქტი, რომ ყველა მოსამსახურე მამაკაცი „შვილის ყოლის“ ასაკშია, როგორც ამას მოპასუხე სახელმწიფო ამტკიცებდა (იხ. პარაგრაფი 113 ზემოთ), არ არის საკმარისი, რათა გამართლდეს განსხვავებული მოპყრობა ქალ და მამაკაც სამხედრო მოსამსახურეებთან მიმართებით. სასამართლოს თხოვნის საპასუხოდ მოპასუხე სახელმწიფოს მიერ მოწოდებული სტატისტიკური ინფორმაცია არ იძლევა დასკვნის გაკეთების საშუალებას (იხ. პარაგრაფები 113 და 114). მასში არ არის ასახული არც სამხედრო პერსონალის (როგორც საკონტრაქტო, ისე სავალდებულო სამხედრო სამსახურში მყოფი პირების) საერთო რაოდენობა და არც იმ სამხედრო მოსამსახურეების რაოდენობა, რომელთა შვილების ასაკიც სამ წელს ქვემოთაა. შესაბამისად, ის არ გამოდგება იმის დასადგენად, მიახლოებით მაინც, თუ დროის ნებისმიერ მომენტში რამდენი სამხედრო მოსამსახურე დააკმაყოფილებს ყველა პირობას, რათა მიიღოს ბავშვის მოვლის შვებულება. ბავშვის მოვლის შვებულების აღებასთან დაკავშირებით მათი მონდომების შესაფასებლად მამაკაცი სამხედრო მოსამსახურეების გამოკითხვის გარეშე არც ისაა შესაძლებელი გავარკვიოთ რეალურად რამდენი მამაკაცი სამხედრო მოსამსახურე გამოიყენებდა ბავშვის მოვლის შვებულების აღების უფლებას. მთავრობის მხრიდან იმის მტკიცება, რომ უფლებით სარგებლობას ბევრი სამხედრო მოსამსახურე მონდომებდა, ეწინააღმდეგება მათ სხვა არგუმენტს, რომ განსახილველი საქმე ერთეული შემთხვევაა და არ ავლენს რაიმე სისტემურ პრობლემას კონვენციის მიზნებისთვის (იხ. ზემოთ, პარაგრაფი 118). ამ პირობებში სასამართლო ვერ



მიიღებს მთავრობის მტკიცებას არმიის ოპერატიული ეფექტურობისთვის არსებულ რისკთან დაკავშირებით, რადგან ვერ მოხდა ამ რისკის „გამყარება კონკრეტული მაგალითებით“ (იხ. სასამართლო პრაქტიკა ზემოთ, პარაგრაფი 137).

145. გარდა ამისა, სასამართლო გამოყოფს არმიაში ბავშვის მოვლის შვებულების აღებასთან დაკავშირებით რუსული სამართლებრივი დებულებების სიხისტის საკითხს. მისთვის არ არის დამაჯერებელი მთავრობის არგუმენტი, რომ რუსული კანონმდებლობა ითვალისწინებს გამონაკლისებს იმ წესიდან, რომლის მიხედვითაც მამაკაც სამხედრო მოსამსახურეებს არ აქვთ ბავშვის მოვლის შვებულების უფლება. სამხედრო სამსახურის შესახებ რეგულაციის 32-ე მუხლის მე-7 პუნქტი (იხ. ზემოთ, პარაგრაფი 48), რომელსაც მოპასუხე სახელმწიფო იშველიებს, ითვალისწინებს სამ-თვიან სპეციალურ შვებულებას, რომელიც აშკარად განსხვავდება სამწლიანი ბავშვის მოვლის შვებულებისგან. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებიდან აშკარაა, რომ ის ვერ ჩაანაცვლებს ნორმალურ ბავშვის მოვლის შვებულებას, რადგან მისი მიზანია სამხედრო მოსამსახურე მამაკაცისთვის გონივრული შესაძლებლობის მიცემა, რათა მან შეძლოს ბავშვის მოვლის საკითხის მოგვარება და შედეგის მიხედვით, გადაწყვეტილების მიღება აპირებს თუ არა სამხედრო კარიერის გაგრძელებას (იხ. ზემოთ, პარაგრაფი 34). რაც შეეხება მთავრობის აპელირებას სამხედრო სამსახურის შესახებ კანონის მე-10 მუხლის მე-9 პუნქტზე (იხ. ზემოთ პარაგრაფი 47), განმცხადებელი იშველიებდა ამ სამართლებრივ დებულებას შიდა სასამართლო პროცესზე, მაგრამ ეროვნულმა სასამართლოებმა დაადგინეს, რომ ეს ვერ გამოდგებოდა სამ-წლიანი ბავშვის მოვლის შვებულების გაცემის სამართლებრივ საფუძვლად მამაკაცი სამხედრო მოსამსახურისთვის (იხ. ზემოთ პარაგრაფი 17 და 26). მეტიც, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებიდან და შიდა სასამართლოების გადაწყვეტილებებიდან განმცხადებლის საქმეში აშკარაა, რომ რუსული კანონმდებლობა არ აძლევს მამაკაც სამხედრო ოსამსახურეს ბავშვის მოვლის სამწლიანი შვებულებით სარგებლობის უფლებას. ამ მხრივ, სასამართლო განსაკუთრებით აღნიშნავს პირველი ინსტანციის და სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილებებს, რომლებშიც მითითებულია რომ „მამაკაცი სამხედრო პერსონალი არ სარგებლობს ბავშვის მოვლის სამწლიანი შვებულების უფლებით იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მათი

შვილები რჩებიან დედის მზრუნველობის გარეშე“ და რომ „მამაკაც სამხედრო მოსამსახურეებს არანაირ შემთხვევაში არ გააჩნიათ ბავშვის მოვლის შვებულების უფლება“ (იხ. ზემოთ, პარაგრაფი 26 და 29). სასამართლო აგრეთვე ითვალისწინებს 2006 წლის 8 დეკემბრის სასამართლოს გადაწყვეტილების დასკვნას, რომ სამხედრო ნაწილის გადაწყვეტილება განმცხადებლისთვის გამონაკლისის სახით ბავშვის მოვლის შვებულების მიცემასთან დაკავშირებით არაკანონიერი იყო (იხ. ზემოთ პარაგრაფი 32).

146. იმ შემთხვევების მაგალითებთან დაკავშირებით, როდესაც ბავშვის მოვლის შვებულება ეძლევათ მამაკაც სამხედრო მოსამსახურეებს, სასამართლო აღნიშნავს, რომ მოპასუხე სახელმწიფომ წარმოადგინა მხოლოდ ერთი მაგალითი (იხ. ზემოთ პარაგრაფი 117) და ეს არ არის საკმარისი სასამართლოს აზრით, იმისთვის რომ დამკვიდრებული პრაქტიკის არსებობა დაამტკიცო ეროვნულ დონეზე (მსგავსი მიდგომისთვის იხ. კოჟოკარი რუსეთის წინააღმდეგ (*Kozhokar v. Russia*), # 33099/08, § 93, 16 დეკემბერი 2010, დაპორვატი ხორვატიის წინააღმდეგ (*Horvat v. Croatia*), #51585/99, § 44, ECHR 2001-VIII). სხვა მაგალითები, რასაც მოპასუხე სახელმწიფო იშველიებდა ეხება ბავშვის მოვლის შვებულების მიცემას პოლიციის თანამშრომლებისთვის და არარელევანტურია განსახილველ საქმეში. შესაბამისად, მოპასუხე სახელმწიფოს არ წარმოუდგენია დამაჯერებელი მტკიცებულებები იმის საჩვენებლად, რომ გამონაკლისი, რომელზეც ისინი მიუთითებდნენ ნამდვილად არსებობდა პრაქტიკაში ან იმის დასამტკიცებლად, რომ ინდივიდუალური საქმეების შეფასება იყო შესაძლებელი და მამაკაც სამხედრო მოსამსახურეებს ეძლეოდათ ბავშვის მოვლის შვებულება, თუ მათი განსაკუთრებული მდგომარეობა ამას მოითხოვდა.

147. ზემოაღნიშნულთან ერთად სასამართლო იზიარებს იმ არგუმენტს, რომ ეროვნული უშიშროების დასაცავად არმიის მნიშვნელობის გათვალისწინებით გარკვეული შეზღუდვები ბავშვის მოვლის შვებულების უფლებასთან დაკავშირებით გამართლებული შეიძლება იყოს იმ პირობით, რომ ისინი არ ატარებენ დისკრიმინაციულ ხასიათს. სასამართლოს აზრით, არსებობს საშუალებები ეროვნული უშიშროების დაცვის ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, რაც არ გულისხმობს ბავშვის მოვლის შვებულების მიღების უფლების მქონე პირთა წრის შეზღუდვას მხოლოდ ქალი სამხედრო მოსამსახურეებით და

მამაკაცი სამხედრო მოსამსახურეებისთვის ამ უფლების წართმევას. მართლაც, მრავალ წევრ სახელმწიფოში, როგორც ქალი, ისე მამაკაცი სამხედრო მოსამსახურეები სარგებლობენ ბავშვის მოვლის შვებულების უფლებით (იხ. ზემოთ პარაგრაფი 74). სასამართლო განსაკუთრებულად საინტერესოდ მიიჩნევს ბავშვის მოვლის შვებულებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ რეგულაციებს გერმანიაში, ნიდერლანდებსა და გაერთიანებულ სამეფოში (იხ. ზემოთ, პარაგრაფი 75). მათი მაგალითი აჩვენებს, რომ არსებობს ტექნიკა, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს არმიის ოპერატიულ ეფექტურობასთან დაკავშირებული ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად და იმავდროულად ბავშვის მოვლის შვებულების სფეროში სამხედრო პერსონალის თანაბარი მოპყრობის უზრუნველსაყოფად.

148. სასამართლო ითვალისწინებს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის დასაქმებასა და პროფესიასთან დაკავშირებით დისკრიმინაციის შესახებ # C111 კონვენციის პირველ მუხლს, რომლის მიხედვითაც ნებისმიერი განსხვავება, უფლების ჩამორთმევა ან უპირატესობის მინიჭება კონკრეტულ სამსახურთან დაკავშირებით, რომელიც ეფუძნება სამსახურის ბუნებიდან გამომდინარე მოთხოვნებს არ უნდა ჩაითვალოს დისკრიმინაციად (იხ. ზემოთ პარაგრაფი 52). თუმცადა წინამდებარე საქმეში სასამართლო არ მიიჩნევს, რომ ბავშვის მოვლის შვებულების უფლების ჩამორთმევა შეიძლება ჩაითვალოს სამხედრო სამსახურის ბუნებიდან გამომდინარე მოთხოვნად. მართლაც ქალი სამხედრო მოსამსახურეები სარგებლობენ ბავშვის მოვლის შვებულებით და უფლება ჩამორთმეული აქვთ მხოლოდ მამაკაც სამხედრო მოსამსახურეებს. იმავდროულად სასამართლო მიიჩნევს, რომ სამხედრო სამსახურის კონკრეტული მოთხოვნების გათვალისწინებით, შეიძლება გამართლებული იყოს ბავშვის მოვლის შვებულების უფლების ჩამორთმევა ნებისმიერი თანამშრომლისთვის, ქალი იქნება ის, თუ კაცი, რომლის ჩანაცვლებაც ადვილი არ არის იმ გარემოებების გამო, როგორცაა მათი თანამდებობრივი იერარქია, იშვიათი ტექნიკური ცოდნა ან აქტიურ სამხედრო ოპერაციაში მონაწილეობა. რუსეთში, ამის საწინააღმდეგოდ, ბავშვის მოვლის შვებულების უფლება დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ სამხედრო მოსამსახურის სქესზე. მამაკაცი სამხედრო მოსამსახურეებისთვის ბავშვის მოვლის შვებულების აღების უფლების ჩამორთმევით, დებულება

ადგენს ყოვლისმომცველ აკრძალვას. ის ვრცელდება ავტომატურად ყველა მამაკაც სამხედრო მოსამსახურეზე, განურჩევლად მათი თანამდებობისა არმიაში, მათი ჩანაცვლების შესაძლებლობისა და მათი ინდივიდუალური მდგომარეობისა. ამგვარი ზოგადი და ავტომატური შეზღუდვა, რომელიც გამოიყენება ადამიანთა ჯგუფის მიმართ მათი სქესის საფუძველზე, უნდა ჩაითვალოს, რომ სცდება მისაღებ თავისუფალი შეფასების ფარგლებს, როგორც ფართოც არ უნდა იყოს ეს ფარგლები და შეუთავსებელია მე-14 მუხლთან.

149. სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებელი რომელიც მუშაობდა რადიო დაზვერვის ოპერატორად შეიძლება ჩანაცვლებულიყო სხვა ქალი ან მამაკაცი სამხედრო მოსამსახურით. მნიშვნელოვანია, რომ ექვივალენტურ თანამდებობებზე განცხადებლის სამხედრო ნაწილში ხშირად მუშაობდნენ ქალი სამხედრო მოსამსახურეები და თავად განცხადებელსაც ხშირად ანაცვლებდნენ ქალი სამხედრო მოსამსახურეები (იხ. ზემოთ, პარაგრაფი 11). ამ ქალ სამხედრო მოსამსახურეებს გააჩნდათ უპირობო სამწლიანი ბავშვის მოვლის შვებულება. განმცხადებელს ამის საპირისპიროდ და მხოლოდ იმის გამო, რომ მამაკაცი იყო, არ გააჩნდა რაიმე ასეთი უფლება. შესაბამისად მის მიმართ ადგილი ქონდა დისკრიმინაციას სქესის საფუძველზე.

150. ბოლოს, მთავრობის არგუმენტის საპასუხოდ, რომ განმცხადებელმა სამხედრო კონტრაქტზე ხელის მოწერით უარი თქვა თავის უფლებაზე არ დაქვემდებარებოდა დისკრიმინაციას, სასამართლო მიიჩნევს, რომ სქესის საფუძველზე დისკრიმინაციის აკრძალვის ფუნდამენტური მნიშვნელობიდან გამომდინარე, მისაღები არ არის უარის თქმა უფლებაზე, სქესის საფუძველზე არ იქნე დისკრიმინირებული, რადგან ეს წინააღმდეგობაში მოვიდოდა მნიშვნელოვან საჯარო ინტერესთან (იხ. დ.3. და სხვები ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ (*D.H. and Others v. the Czech Republic*)[დიდი პალატა], # 57325/00, § 204, ECHR 2007-IV მსგავსი მიდგომისთვის რასობრივ დისკრიმინაციასთან დაკავშირებით).

151. ზემოთქმულის გათვალისწინებით სასამართლო მიიჩნევს, რომ სამხედრო მოსამსახურეებისთვის ბავშვის მოვლის შვებულების უფლების ჩამორთმევას, როდესაც ქალი სამხედრო მოსამსახურეები ამ უფლებით სარგებლობენ არ აქვს გონივრული ან ობიექტური გამართლება. სასამართლო ასკვნის, რომ

განსხვავებული მოპყრობა, რომლის მსხვერპლიც გახდა განმცხადებელი, წარმოადგენს დისკრიმინაციას სქესის საფუძველზე.

152. შესაბამისად ადგილი ქონდა მე-14 მუხლის დარღვევას მე-8 მუხლთან მიმართებით.

## II. კონვენციის 34-ე მუხლის შესაძლო დარღვევა

153. განმცხადებელი ამტკიცებს, რომ პროკურორის ვიზიტი მასთან სახლში ცოტა ხნით ადრე სანამ დიდი პალატა მისი საქმის მოსმენას გამართავდა წარმოადგენდა ხელის შეშლას კონვენციის 34-ე მუხლით გათვალისწინებული ინდივიდუალური განაცხადის უფლების განხორციელებაში, რომელიც, რელევანტურ ნაწილში ადგენს შემდეგს:

სასამართლოს შეუძლია მიიღოს განაცხადები ნებისმიერი ფიზიკური პირისაგან... რომლებიც ამტკიცებენ, რომ ისინი არიან ერთ–ერთი მაღალი ხელშემკვრელი მხარის მიერ კონვენციით ან მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის მსხვერპლნი. მაღალი ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, არაფრით შეუშალონ ხელი ამ უფლების ეფექტიან განხორციელებას.

### ა. მხარეთა არგუმენტები

#### 1. განმცხადებელი

154. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ არ არსებობდა პროკურორის მის ბინაში ვიზიტის რაიმე მიზეზი. პირველ რიგში, ის არ მალავდა ხელისუფლების ორგანოებისგან ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ხელახლა დაქორწინდა თავის ყოფილ ცოლზე და მათ შეეძინათ მეოთხე შვილი. პირიქით, მან ამის შესახებ აუწყა სამხედრო ნაწილის უფროსს. თუ დამატებითი ინფორმაციის მისგან მიღება იყო საჭირო, ის უნდა გამოემძახათ პროკურატურაში, რაც არ მოხდა. მთავრობის მხრიდან იმის მტკიცება, რომ მას რამდენჯერმე გაეგზავნა უწყება, არ იყო განმტკიცებული რაიმე მტკიცებულებებით. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ ღამით ვიზიტი არაკანონიერია შიდა სამართლის მიხედვით. განმცხადებლის მოსაზრებით, ნათელია, რომ ღამის ვიზიტის ერთადერთი მიზანი იყო ზეწოლის მოხდენა მასზე, სანამ დიდი პალატა ჩაატარებდა კონვენციის 34-ე მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით მოსმენას (ის მიუთითებდა საქმზე პოპოვი

რუსეთის წინააღმდეგ (*Popov v. Russia*), #26853/04, § 249, 13 ივლისი 2006; ფედოტოვა რუსეთის წინააღმდეგ (*Fedotova v. Russia*), #73225/01, § 51, 13 აპრილი 2006; კნიაზევი რუსეთის წინააღმდეგ (*Knyazev v. Russia*), #25948/05, § 115, 8 ნოემბერი 2007; და რიაბოვი რუსეთის წინააღმდეგ (*Ryabov v. Russia*), #3896/04, § 59, 31 იანვარი 2008). მართლაც განმცხადებელი და მისი ოჯახი დაფრთხა და თავი იგრძნო დაშინებულად.

155. რაც შეეხება მთავრობის არგუმენტს, რომ ის ამახინჯებდა ვიზიტის ფაქტებს (იხ. ზემოთ, პარაგრაფი 157), განმცხადებელმა დაადასტურა, რომ ბეჭდვისას შეცდომა იქნა დაშვებული მისი სიმამრის ასაკთან დაკავშირებით მის მიერ მოწოდებული ინფორმაციის ინგლისურ ვერსიაში (რუსული ვერსია სწორი იყო). თუმცა ის ამტკიცებდა, რომ მის მიერ მიწოდებული დანარჩენი ინფორმაცია იყო სწორი. მისი აზრით, მოპასუხე სახელმწიფომ ცადა მისი სახელის გატეხვა, რათა ზიანი მიდგომოდა მის საქმეს.

## 2. მოპასუხე სახელმწიფო

156. მოპასუხე სახელმწიფომ დაადასტურა, რომ პროკურორი ნამდვილად ეწვია განმცხადებელს 2011 წლის 31 მარტის საღამოს 9 საათზე. თუმცა ვიზიტის მიზანი იყო არა განმცხადებლის დაშინება, არამედ განახლებული ინფორმაციის მოპოვება მის მდგომარეობასთან დაკავშირებით, კერძოდ იმის შესახებ, თუ სად ცხოვრობდნენ ამჟამად განმცხადებელი, მისი შვილები და მისი ცოლი და იხდიდა თუ არა დედა ბავშვის ალიმენტს. პროკურორმა განმცხადებელი დაიბარა თავის ოფისში 2011 წლის 30 ან 31 მარტს. რამდენადაც განმცხადებელი რამდენჯერმე არ გამოცხადდა დანიშნულ დროს, პროკურორი მას სახლში ეწვია. განმცხადებელმა წარმოაჩინა აგრეთვე თავისი უპატივცემულობა ხელისუფლების მიმართ, როდესაც უარი თქვა ეპასუხა პროკურორის კითხვებზე. მოპასუხე სახელმწიფომ დაასკვნა, რომ რუსეთის ხელისუფლებას არანაირად არ შეუშლია ხელი განმცხადებლის ინდივიდუალური პეტიციის უფლებისთვის.

157. ბოლოს, მთავრობის არგუმენტთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა პეტიციის უფლების ბოროტად გამოყენებას, ის აღნიშნავდა, რომ განმცხადებელი შიგადაშიგ აზვიადებდა და ამახინჯებდა ინფორმაციას. ამდენად ვიზიტი შედგა საღამო 9 და არა 10 საათზე, როგორც ამას ამბობდა განმცხადებელი.

განცხადებელმა მოიტყუა, აგრეთვე მისი სიმამრის ასაკთან დაკავშირებით.

### ბ. სასამართლოს შეფასება

158. სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ უკიდურესად მნიშვნელოვანია 34-ე მუხლით გათვალისწინებული ინდივიდუალური სარჩელი სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის, რომ განმცადებლებს და პოტენციულ განმცადებლებს შეეძლოთ თავისუფალი ურთიერთობა სასამართლოსთან, ისე რომ არ დაექვემდებრონ ხელისუფლების მხრიდან წნეხის რაიმე ფორმას მათი საჩივრების გამოტანასთან ან შეცვლასთან დაკავშირებით (იხ. სხვა რელევანტურ გადაწყვეტილებებთან ერთად, აქდივარი თურქეთის წინააღმდეგ (*Akdivar and Others v. Turkey*), 16 სექტემბერი 1996, § 105, *Reports* 1996-IV, და აქსოი თურქეთის წინააღმდეგ (*Aksoy v. Turkey*), 18 დეკემბერი 1996, § 105, *Reports* 1996-VI). ამ კონტექსტში წნეხი ნიშნავს არა მხოლოდ პირდაპირ იძულებას და დაშინების უხეშ მოქმედებებს, არამედ აგრეთვე არაწესიერ, არაპირდაპირ ქმედებებსაც ან დაკავშირებას, რათა გადაარწმუნონ ან დემოტივირება გამოიწვიონ განმცხადებელში კონვენციით გათვალისწინებული უფლების დაცვის საშუალების გამოყენებასთან დაკავშირებით (ქურთი თურქეთის წინააღმდეგ, (*Kurt v. Turkey*), 25 მაისი 1998, § 159, *Reports* 1998-III).

159. განმცხადებელსა და ხელისუფლების ორგანოებს შორის შემდგარი კონტაქტი წარმოადგენს თუ არა მიუღებელ პრაქტიკას 34-ე მუხლის მიზნებისთვის უნდა განისაზღვროს საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია განმცხადებლის მოწყვლადობის და იმ შესაძლებლობის გათვალისწინება, რომ განმცხადებელი დაემორჩილებოდა ხელისუფლების გავლენას მასზე (იხ. აქდივარი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ, ციტირებულია ზემოთ, § 105, და ქურთი, ციტირებულია ზემოთ, § 160). განმცხადებელთან არაფორმალური „გასაუბრებაც“ კი, თავი რომ გავანებოთ ფორმალურ დაკითხვას სტრასბურგში მიმდინარე პროცესთან დაკავშირებით, შეიძლება ჩაითვალოს დაშინების ფორმად (განსხვავებისთვის იხ. *სისოიევა და სხვები ლატვიის წინააღმდეგ*

(*Sisojeva and Others v. Latvia*), (განაცხადი ამორიცხული იქნა) [დიდი პალატა], # 60654/00, §§ 117 et seq., ECHR 2007-I).

160. სასამართლომ არაერთხელ აღნიშნა, რომ პრინციპში მოპასუხე სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანოების მხრიდან წესიერ ქცევას არ წარმოადგენდა განმცხადებელთან პირდაპირ კონტაქტში შესვლა სასამართლოს წინაშე მიმდინარე საქმესთან დაკავშირებით (რიაზოვი, ციტირებულია ზემოთ, §§ 59-65; ფედოტოვა, ციტირებულია ზემოთ, § 51; აქდენიზი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (*Akdeniz and Others v. Turkey*), #23954/94, §§ 118-21, 31 მაისი 2001; ასენოვი და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ (*Assenov and Others v. Bulgaria*), 28 ოქტომბერი 1998, §§ 169-71, *Reports* 1998-VIII; და ერგი თურქეთის წინააღმდეგ (*Ergi v. Turkey*), 28 ივლისი 1998, § 105, *Reports* 1998-IV). კერძოდ, თუ მოპასუხე სახელმწიფოს ქონდა მიზეზი ეფიქრა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალური განაცხადის უფლების ბოროტად გამოყენებას ქონდა ადგილი, წესიერი მოქმედების კურსი იქნებოდა ამის შესახებ სასამართლოს ყურადღების გამახვილება და მისი ინფორმირება პრობლემების შესახებ. ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან დაკითხვა ძალიან მარტივად შეიძლება განიმარტოს განმცხადებლის მხრიდან მისი დაშინების მცდელობად (იხ. *Tanrikulu v. Turkey* [დიდი პალატა], #23763/94, §§ 131-33, ECHR 1999-IV).

161. იმავდროულად სასამართლო ხაზს უსვამს, რომ ხელისუფლების ორგანოების მხრიდან ნებისმიერი დაინტერესება სასამართლოს წინაშე წარდგენილი განაცხადით „დაშინებად“ ვერ ჩაითვლება. მაგალითად, სასამართლომ დაადგინა, რომ ხელისუფლების მხრიდან განმცხადებელთან დაკავშირება მეგობრული მორიგების შეთანხმების მისაღწევად არ წამოადგენს ინდივიდუალური განაცხადის უფლებისთვის დაბრკოლების შექმნას, იმ პირობით რომ სახელმწიფოს მიერ გატარებული ზომები მორიგების მოლაპარაკების კონტექსტში არ გულისხმობენ რაიმე ფორმით განმცხადებელზე ზეწოლას, დაშინებას ან იძულებას (იხ. იევგენი ალექსეიენკო რუსეთის წინააღმდეგ (*Yevgeniy Alekseyenko v. Russia*, # 41833/04, §§ 168-74, 27 იანვარი 2011). სხვა შემთხვევაში, როდესაც ხდება ადგილობრივი ხელისუფლების მიერ განმცხადებლის დაკითხვა იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რასაც ეფუძნება მისი განაცხადი, სასამართლო დაშინების ან წნეხის მტკიცებულებების გარეშე ვერ



დაადგენს იმას, რომ განმცხადებელს ხელი შეუშალეს მისი ინდივიდუალური განაცხადის უფლების განხორციელებაში (იხ. მანუსოსი ჩეხეთის რესპუბლიკის და გერმანიის წინააღმდეგ (*Manoussos v. the Czech Republic and Germany*) [ცნობილია დასაშვებად], # 46468/99, 9 ივლისი 2002, და მატარის თურქეთის წინააღმდეგ (*Matyar v. Turkey*), #23423/94, §§ 158-59, 21 თებერვალი 2002).

162. თუ დავბრუნდებით წინამდებარე საქმის გარემოებებთან, სასამართლო აღნიშნავს, რომ 2011 წლის 31 მარტის საღამოს, ადგილობრივი სამხედრო პროკურატურის თანამშრომელი ეწვია განმცხადებელს ბინაში. მან განაცხადა, რომ მოკვლევას აწარმოებდა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლის თხოვნით. მან დაუსვა კითხვები განმცხადებელს მის ოჯახურ ცხოვრებასთან დაკავშირებით და თხოვა წარმოედგინა დოკუმენტები. პროკურატურის თანამშრომელი ბინაში დარჩა დაახლოებით ერთი საათი და მხოლოდ მას შემდეგ წავიდა, რაც განმცხადებელმა ხელი მოაწერა წერილობით განცხადებაზე, რომ უარს ამბობდა პასუხი გაეცა მის კითხვებზე.

163. სასამართლოს ესმის, რომ განმცხადებელი და მისი ოჯახი შეშინებული დარჩა მათ სახლში პროკურორის ვიზიტის შედეგად, თუმცა არ არსებობს მტკიცებულება, რომ ეს ვიზიტი - რომელიც, როგორც ჩანს მიზნად ისახავდა ახალი ინფორმაციის მიღებას განმცხადებლის ოჯახურ მდგომარეობასთან დაკავშირებით მთავრობის სასამართლოში წარსადგენი არგუმენტებისთვის (იხ. ზემოთ, პარაგრაფი 41 და 156) - და მასთან დაკავშირებული გარემოებები გათვლილი იყო იმაზე, რომ ზეწოლა მოეხდინათ განმცხადებელზე გამოეტანა ან შეეცვალა თავისი განაცხადი ან რაიმეინრად ჩარეულიყვნენ ინდივიდუალური განაცხადის უფლების ეფექტურ განხორციელებაში, ან რომ რეალურად მათ მიაღწიესამგვარშედეგს. ამდენად, შეუძლებელია იმის დადგენა, რომ მოპასუხე სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანოებმა დააბრკოლეს განმცხადებელი თავისი ინდივიდუალური განაცხადის უფლების განხორციელებაში. შესაბამისად, მოპასუხე სახელმწიფოს არ დაურღვევია თავისი მოვალეობა კონვენციის 34-ე მუხლის თანახმად.

### III. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

## 164. კონვენციის 41-ე მუხლი ადგენს:

“თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სასამართლო დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.”

**ა. ზარალი**

165. განმცხადებელმა მოითხოვა 400 000 ევრო არამატერიალური ზიანისთვის. მატერიალურ ზიანთან დაკავრებით, მან მოითხოვა 59, 855. 12 რუსული რუბლი, რაც წარმოადგენს იმ პრემიების ოდენობას, რომელსაც ის მიიღებდა, ბავშვის მოვლის შვებულებაში ყოფნის პერიოდში გაცდენების გამო დისციპლინური სახდელები რომ არ დაეკისრებინათ.

166. მოპასუხე სახელმწიფო ამტკიცებდა, რომ მატერიალურ ზიანთან დაკავშირებული მოთხოვნა არ ემყარებოდა რაიმე აქტებს. განმცხადებელი დაექვემდებარა დისციპლინურ სახდელს ბავშვის გაჩენამდე. ამის შემდეგ მან მიიღო ფინანსური დახმარება, რომელიც აღემატებოდა იმ ზიანს, რომელიც განმცხადებლის მტკიცების მიხედვით მან განიცადა. არამატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა გადაჭარბებული იყო. განმცხადებელს მიეცა ბავშვის მოვლის შვებულება და მან მიიღო ფინანსური დახმარება. შესაბამისად მას არ განუცდია რაიმე გაჭირვება ამ მხრივ კონვენციის სავარაუდო დარღვევის გამო.

167. სასამართლომ გაარკვია, რომ განმცხადებელს არ წარმოუდგენია რაიმე დოკუმენტი, რომელიც გაამყარებდა მის მოთხოვნას მატერიალურ ზიანთან დაკავრებით. შესაბამისად ის უარყოფს ამ მოთხოვნას.

168. რაც შეეხება არამატერიალურ ზიანს, სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებელს უნდა განეცადა სტრესი და იმედგაცურება სქესის საფუძველზე დისკრიმინაციის გამო, რომელსაც დაექვემდებარა. მართლმსაჯულების პრინციპების საფუძველზე შეფასებით, სასამართლო ანიჭებს განმცხადებელს 3000 ევროს არამატერიალური ზიანის ანაზღაურების სახით იმ

თანხასთან ერთად, რომლებიც შეიძლება გადასახდელი იქნეს დაბეგრული გადასახადის დასაფარად.

### **ბ. ხარჯები**

169. სამართლებრივი მომსახურების ანაზღაურების შესახებ ხელშეკრულებაზე დაყრდნობით განმცხადებელი მოითხოვს 5000 ევროს დიდი პალატის წინაშე გაწეული მომსახურების ღირებულის დასაფარად.

170. მოპასუხე სახელმწიფო მიიჩნევს, რომ განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი ოდენობა გადაჭარბებულია. განმცხადებელმა მიიღო უფასო იურიდიული დახმარება. საქმე არ იყო რთული და არ მოითხოვდა ბევრ შრომას წარმომადგენლების მხრიდან. დამატებით და სამართლებრივი მომსახურების ღირებულების შესახებ ხელშეკრულების თანახმად განმცხადებელს უნდა გადაეხადა წარმომადგენლებისთვის 160 000 რუბლი, რაც დაახლოებით 4000 ევროა.

171. სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, განმცხადებელს აქვს უფლება მოითხოვოს ხარჯების ანაზღაურება, თუ ის შეძლებს დაამტკიცოს, რომ მოთხოვილი თანხა ნამდვილად დაიხარჯა, აუცილებელი იყო და ოდენობით თვალსაზრისით გონივრულია. წინამდებარე საქმეში მის ხელთ არსებული დოკუმენტების და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ განმცხადებელს აუნაზღაურეს სამართლებრივი დახმარების ხარჯები, სასამართლო გონივრულად მიიჩნევს მიაწიჭოს მას 3150 ევრო იმ თანხასთან ერთად, რაც შეიძლება გადასახდელი იქნეს დაბეგრული გადასახადის დასაფარად.

### **გ. საურავი**

172. სასამართლოს მიაჩნია, რომ საურავის ოდენობა უნდა დადგინდეს ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის მიხედვით, რასაც დაემატება სამი პროცენტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო

...

2. თექვსმეტი ხმით ერთის წინააღმდეგ ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-14 მუხლი კონვენციის მე-8 მუხლთან მიმართებით;
3. თოთხმეტი ხმით სამის წინააღმდეგ ადგენს, რომ მოპასუხე სახელმწიფოს მხრიდან არ ქონდა ადგილი კონვენციის 34-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევას;
4. თოთხმეტი ხმით სამის წინააღმდეგ ადგენს,
  - ა. რომ მოპასუხე სახელმწიფომ უნდა გადაუხადოს განმცხადებელს, სამი თვის განმვალობაში შემდეგი თანხა ეროვნულ ვალუტაში იმ კურსით, რომელიც იმოქმედებს გადახდის დღეს:
    - (i) 3000 (სამი ათასი) ევრო, იმ თანხასთან ერთად, რაც რაიმე გადასახადის სახით შეიძლება დაეკისროს განმცხადებელს, არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად;
    - (ii) 3150 (სამი ათას ას ორმოცდაათი) ევრო იმ თანხასთან ერთად, რაც რაიმე გადასახადის სახით შეიძლება დაეკისროს განმცხადებელს, ხარჯების ასანაზღაურებლად;
  - ბ. რომ ზემოხსენებული სამი თვის ამოწურვის შემდეგ გადახდამდე ზემოხსენებულ თანხას ემატება პროცენტი, რომელიც განისაზღვრება ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის მიხედვით, რასაც დაემატება სამი პროცენტი.
5. ერთხმად არ აკმაყოფილებს განმცხადებლის დანარჩენ მოთხოვნებს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

შესრულებულია ინგლისურ და ფრანგულ ენებზე და გამოქვეყნდა საჯარო მოსმენაზე ადამიანის უფლებათა შენობაში, სტრასბურგში, 2012 წლის 22 მარტს.

ჯოჰან ქალევერტი  
მდივნის მოადგილე

ნიკოლას ბრატუა  
პრეზიდენტი

კონვენციის 45.2 მუხლისა და სასამართლოს რეგლამენტის 74.2 წესის შესაბამისად გადაწყვეტილებას თან ერთვის შემდეგი განსხვავებული მოსაზრებები:

- (a) მოსამართლე პინტო დე ალბუკერკეს ნაწილობრივ თანმთხვევი და ნაწილობრივ განსხვავებული მოსაზრება;
- (b) მოსამართლე კალაიდჯიევას ნაწილობრივ განსხვავებული მოსაზრება;
- (c) მოსამართლე ნუსბერგერის ნაწილობრივ განსხვავებული მოსაზრება რომელსაც შეუერთდა მოსამართლე ფედოროვა;
- (d) მოსამართლე პოპოვიჩის განსხვავებული მოსაზრება.

N.B.

განსხვავებული მოსაზრებები არ ითარგმნა, თუმცა ინგლისურ და/ან ფრანგულ ენაზე თან ერთვის გადაწყვეტილების ოფიციალურ ვერსიას, რომელიც განთავსებულია [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მონაცემთა ბაზაში HUDOC.

J.C.

**© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2013**

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ოფიციალური ენებია ინგლისური და ფრანგული. წინამდებარე თარგმანი შესრულებულია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდის ხელშეწყობით ([www.coe.int/humanrightstrustfund](http://www.coe.int/humanrightstrustfund)). იგი სასამართლოსათვის სავალდებულო ხასიათს არ ატარებს და არც მის ხარისხზე აკისრებს პასუხისმგებლობას. მოცემული დოკუმენტი შეიძლება ჩამოტვირთულ იქნას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს HUDOC სასამართლო პრაქტიკის მონაცემთა ბაზიდან (<http://hudoc.echr.coe.int>) ან ნებისმიერი სხვა მონაცემთა ბაზიდან, რომელთანაც სასამართლომ მოახდინა მისი გაზიარება. დასაშვებია თარგმანის რეპროდუქცირება არაკომერციული მიზნებისათვის

იმ პირობით, რომ მოხდება საქმის სრული სახელწოდების ციტირება, მოცემულ საავტორო უფლებების აღნიშვნასა და ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდზე მითითებით. წინამდებარე თარგმანის ნებისმიერი ნაწილის კომერციული მიზნებით გამოყენების სურვილის შემთხვევაში, გთხოვთ მოგვწეროთ შემდეგ მისამართზე: [publishing@echr.coe.int](mailto:publishing@echr.coe.int).

**© Council of Europe/European Court of Human Rights, 2013**

The official languages of the European Court of Human Rights are English and French. This translation was commissioned with the support of the Human Rights Trust Fund of the Council of Europe ([www.coe.int/humanrightstrustfund](http://www.coe.int/humanrightstrustfund)). It does not bind the Court, nor does the Court take any responsibility for the quality thereof. It may be downloaded from the HUDOC case-law database of the European Court of Human Rights (<http://hudoc.echr.coe.int>) or from any other database with which the Court has shared it. It may be reproduced for non-commercial purposes on condition that the full title of the case is cited, together with the above copyright indication and reference to the Human Rights Trust Fund. If it is intended to use any part of this translation for commercial purposes, please contact [publishing@echr.coe.int](mailto:publishing@echr.coe.int).

**© Conseil de l'Europe/Cour européenne des droits de l'homme, 2013**

Les langues officielles de la Cour européenne des droits de l'homme sont le français et l'anglais. La présente traduction a été effectuée avec le soutien du Fonds fiduciaire pour les droits de l'homme du Conseil de l'Europe ([www.coe.int/humanrightstrustfund](http://www.coe.int/humanrightstrustfund)). Elle ne lie pas la Cour, et celle-ci décline toute responsabilité quant à sa qualité. Elle peut être téléchargée à partir de HUDOC, la base de jurisprudence de la Cour européenne des droits de l'homme (<http://hudoc.echr.coe.int>), ou de toute autre base de données à laquelle HUDOC l'a communiquée. Elle peut être reproduite à des fins non commerciales, sous réserve que le titre de l'affaire soit cité en entier et s'accompagne de l'indication de copyright ci-dessus ainsi que de la référence au Fonds fiduciaire pour les droits de l'homme. Toute personne souhaitant se servir de tout ou partie de la présente traduction à des fins commerciales est invitée à le signaler à l'adresse suivante : [publishing@echr.coe.int](mailto:publishing@echr.coe.int).